

# স্বদেশী

১৪






უტურნალ „ჯეჯილისა“

I შობის ყვაეილები—ან. წ—სა. . . . .	3
II მერცხალი ლექსი—შ. მღვიმელისა. . . . .	8
III საახალწლო სურათი—კვ. გაბაშვილისა . . . . .	21
IV ობობა—თ. წაზიკაშვილისა . . . . .	27
V შეშის მკრელნი და მუხა (ეზოპიდან)—ბ. დავითაშვილისა .	36
VI წმიდა ნინო—გ. წყაღტუბელისა . . . . .	37
VII შობის ხე—თ. კანდელაკისა . . . . .	46
VIII საკვირველებანი ბუნებისა—ლადო აღნაშვილისა . . . . .	53
IX უქნარა (იკავი)—აფ. მ—შვილისა . . . . .	57
X წვრილმანი: ხალხური, ანდაზები, გამოცანები, რებუსი, შარადა და სხვა. . . . .	



თანახმათ მათი ყოვლად უსამღვდელოესობის საქართველოს ეგზარხოსის დამტკიცებისა, თფილისის საეპარქიო რჩევამ, 17 ოკტომბერს გადაწყვიტა ქართული საყმაწვილო უტურნალი „ჯეჯილი“ საქართველოს ეპარქიის სამრევლო სკოლებში მიღებულ იქმნას სახმარებლათ.





საქმეაწვილს ნახატმპიანი

ეურნალი

ჩხარდუ, შუვანე ჯეფილო.  
დაკურდი, განდი უნაო!..  
ი. ღ.

№ I

წელიწადი მეცხე



თბილისი


საქმეა პ. დ. როტინიანცისა ||| Тип. М. Д. Ротинианца. Гол. ар., т. № 41.  
1898.

9167




Дозволено цензурою Тифлисъ, 30-го Декабря 1897 гола.

---



ბაზმის სახ. საბჭოთაო  
რედაქციაში  
აქვესტობა  
\* \* \* \* \*



## უოგის უვაილები.

ფრანგულიდან.

**ღ**ენარი და მშვიდობიანი ღამე იყო. ურიასტანში ჯაფით მოქანცულნი მწუქმსნი წამოწოლილიყვენ ბლახსე თავიანთ ფარასკვერდით.

უსბათ არემაზე განათდა, ცა ვარსკვლავებით მოიჭედა, თითქოს ცეცხლი ეკიდებოდა. ტურფა ანკელოზთა გუნდი ასრიალდა ჰაერში, მოისმა მათი ფრთების შრიალი და სიამით სავსე ტკბილი გალობა: „დიდება მადალთა შინა ღმერთსა და ქვეყანასა ზედა მშვიდობა“.

მწუქმსები ძლიერ შეშინდნენ. ამ დროს ანკელოზმა ზეციდან ჩამოსძახა: ნუ გეშინიათ, მე განარებთ სასიხარულო ამბავს: დღეს დაიბადა ქრისტე მაცხოვარი; წა-



დით ბეთლემს და იქ იპოვიოთ ახლათ შობილს, ბაგაში მწოლარეს.“

დიხანს გაისმობდა ცაში ანგელოზთა გუნდის ტკბილი კალობა: დიდება! დიდება შენდა, ღმერთო!

წამს გაქრა სანახავი. აღრინდელივით წუნარბი და მშვიდობიანი ღამე დადგა, მწვემსებს გადაუვარდათ შიში და თქვეს: „წავიდეთ ბეთლემს, ვნახოთ ჩვენი თვალთ ეველბაფერიო“...

მწვემსები შეუდგენ ცხას, იპოვეს გამოქვაბული და ნახეს ბაგაში მწოლარე იესო მაცხოვარი, რომელიც, თითქოს ბრწეინვალე თვალებით, შეცქეროდა ამათ და ხელს უწვდიდა. მარიამი და იოსები მესლმოდრეკილნი უფალს ევედრებოდნენ. გამოქვაბულის ჰაერს ათბობდნენ თავიანთ სუნთქვით აქვე დაბმული ძროხა და სასუდარი. მწვემსებმა სასოებით თაყვანი სცეს მაცხოვარს და წრფელი გულით მიართვეს საჩუქრები: თაფლი, რძე, ხილი და სხვა...

\* \*

მწვემსებს ფეხაკრეფით, ჩუმათ შემოჰქუვა ფერ მკრთალი და გაფითრებული ბაგაში. ეს იყო ობოლი ქალი, სასულათ სარა, რომელიც დადიოდა მუდამ ურიასტანის ქალაქებ-სოფლებში მოწყალების სათხოვნელათ.

ემწვილი გულხელ დაკრეფილი, მორიდებით და დარცხვენით, კარის კუნჭულს აეფარა; მან თავისი შავი დიდრონი თვალები მიანერო ახალ დაბადებულს, რომელსაც

ასე დიდ ხანს ელოდებოდა ეველს და რომელიც მართ-  
ლაც მოევლინათ.

საწყვალთ სარა აღტაცებული, სასოებით შეცქეროდა



მაცხოვარს და უხაროდ, რომ მოესწრო სანატრელ დღეს ქრისტეს სილვისა და ასე ჩუმათ ელანარაკებოდა თავის თავს:

— ძვირფასო და კეთილო ჰატარა იესო, როგორ მიუვარხარ, რა კეთილი ხარ, რომ შენ, ზეცის და დედამიწის მეუფე, ნებას აძლევ შენ ბავასთან იდგეს ის საბრლო ობოლი, რომელსაც ეველა დევნის და არ იბრალეხს... ჩვენმა წმიდა მამებმა მართალი თქვეს, რომ შენ მოხვალ დედამიწაზე ჩემისთანა უბედური ობლების სანუგეშოთ. მხოლოდ ამას იქით შემადრება ცრემლი თვალებზე.

ოჰ, რა მიუვარხარ, ქრისტე! დახე, მწუქმებმა მოკიტანეს საჩუქრები და მე-კი, რომელიც არ დავსოგავ შენთვის ჩემ სიცოცხლეს, ერთი უვაილიც არა მაქვს, რომ შენ ფეხ ქვეშ დაგიფინო. აი, რა მიკლავს გულს და ერთი ორათ მანადვლიანებს, როგვსაც ეველა შენი სილვით ბედნიერი უნდა იყოს.

სარას თვალებიდან იმდენი ცრემლები გადმოედინა, რომ თითქო მდინარემ გადმოხეთქა და დედამიწა გაიქვლინათაო.

— არა მაქვს, არაფერი არა მაქვს შენთვის მოსართმევათ, ჩემო იესო, იმეორებდა ტირილით ობოლი.

ერთბაშათ ცრემლით გაქვლინთილი მიწიდან ამოვიდა შვენიერი ბუჩქი, რომელსაც გადმოეძალა ნორჩი ტოტები

და ამ ნორჩ ტოტებზე, როგორც ცაზე ვარსკვლავები, შე-  
ესხა თეთრი ევაჯილები.


ამდროს მოისმა იდუმალი ხმა:

— სარა! მოწვევით ევაჯილი! რომელიც გიამებოდეს,  
ის მოწვევით ვარდი გაიძალა შენი ცხარე ცრემლების მე-  
ოხებით და შენია. შენ სწუხარ, რომ არაფერი არა გაქვს,  
იცოდე, რომ ევაჯილი შენია, რადგან აგრეთი კეთილი  
გული გქონია და სიუვარულიც გცოდნია.

სარამ კანკალით, მაგრამ მარღათ, დაიწყო ამ საოცარ-  
რი ევაჯილების კრეფა. დიდ ხანს, დიდ ხანს ჰკრეფდა, რამ-  
დენსაც კი შესძლებდა მისი სუსტი ხელები სულ ჰკრეფ-  
და. მერე ეს საშობაო ევაჯილები წაიღო და ფეხთ დაუ-  
ფინა ახალ დაბადებულ ქრისტეს.

ან. წ-- ისა.





## მერცხალი

მტკვარ გაღმა, ერთ დიდ სოფელში,  
 კლეს-კაცის დარბაზს ჭდეულსა,  
 მერცხლების ბუდით სავსესა,  
 მერცხლების ჭიკჭიკს ჩვეულსა, -

ორი ლამაზი მერცხალი  
 სიურპითვე შემოსჩვეოდენ,  
 მრავალჯერ გაფრენილიყვენ,  
 მრავალ ჯერ ისევ სწვეოდენ.

უველასე მეტათ გვირგვინში  
 ისმობდა მათი ფთხრიალი,  
 ალერსი, ტუბილი ჭიკჭიკი,  
 აფრენ-ჩაფრენა, სრიალი...

ერთ განათხულებსე მერცხლებმა  
 ძალიან დაიკვიანეს...

ბაღებს ეწეინათ დაღონდენ,  
დიდებმაც იეჭვიანეს.

ვაჰ, თუ რამეზე ვაჯავრდენ,  
ვაგვიწერენ, ვაგვებუტენო,  
ჩვენთან აღარ სურთ მოფრენა  
და ბუდეს სსვაგან იდგმენო!


ამ დროს მერცხლები ერთობი  
ჩამოსრიალდენ წუვილათა,  
დაიწეეს ფრენა კვირგვინში  
და აღუღუნდენ ტკბილათა.

ოჯახში დიდი ჰატარა  
სავსეს სინარულითა...  
ბუდე კვლავ ჩადგეს, ჩაჰკვანძეს  
ტაღანით ჩალა-ბულითა.

მაღე დაჩკეს ბარტყებიც  
დახარდეს, დააფრთანეს  
ასწავლეს ფრენა-ჭიკჭიკი  
და კელი აახშიანეს.

როდესაც დედა მერცხალი  
წვილებთან იჯდა ბუდეში,

მაძალი გარეთ დაჰქროდა,  
 მინდვრათ, ხან ცისა ზღუდში.



სადაც ნახავდა მავნე მწერს,  
 მესივით დაეცემოდა,  
 ზოგს თავათ გადასანსლაჲდა,  
 ზოგს სახლში ეზიდებოდა.

## II.

სოფელში ერთ ბიჭს ძეტს სახელს  
 უძახდენ „დაუდგრომელსა“.  
 სულ გარეთ მოუიალესა,  
 ონავარს დაუცნრომელსა.

ამ მოუსვენარს სიცელქით  
 ჰად რა არ ჩაუდენია:  
 მას დაუძლეელი ჩიტების  
 ბუდე არ გადარჩენია.

რამდენჯერ უთხრა დედამა:  
 შე ცელო, ავო ზნიანო,  
 ე მერცხლებს მაინც დაეხსენ,  
 თორემ შენც დაგწეველიანო!

მაგრამ არ იქნა, სიცოცხლე  
 არც ამით დაუგვიანა,  
 ქვა წამოუსვა ერთ ბარტყსა,  
 ცალი ფრთა დაუზიანა.

დაღონდა დედა მერცხალი,  
 კული მოუკვდა მამალსა,  
 მინდვრათ ეძებდენ შვილისთვის  
 საშველათ ათას წამალსა.

ხან ევაგილთ ცვარი მოჭკრიფეს,  
 ცის ნამიც დააღვეინეს,  
 მაგრამ არ იქნა, საბრალოს  
 ფრთა ვეღარ გააშლეინეს.

დაკუტდა, დაჩხა კვირკვინში.  
 ვეღარ გავიდა გარეთა,  
 სახლში და დაფარფატებდა  
 უხმოთ და მკლავიანრეთა.

ჩუმათ რომ იყო მერცხალი,  
 ბაღლებსაც გული წუდებოდათ;  
 ქვემოდან უაღერსებდენ  
 და მეტათ ებრალებოდათ.

მინდურათ დასდევდენ კალიებს,  
 მიპარვით მუხლზე სოსვითა  
 იჭერდენ, მერცხალს აწვდიდენ  
 ორ-კაპანანის ჯოხითა.

არც და-ძმას ავიწუდებოდათ  
 თაჲნთ დედ-ძამის შობილი,  
 მოჰქონდათ ბუხი, ჰეჰელა,  
 ნისკარტში გამოწუობილი.

დღდა წუხლს ეზიდებოდა  
 შვილისთვის მუღამ ჰირითა,  
 მამაც გულს უხალისებდა  
 ათას ნაირის ხილითა.

მაგრამ ჰაწია მერცხალი  
 მანც ჯაჲრითა კვდებოდა,  
 მას თავისუფლათ მინდორში  
 გაფრენა ენატრებოდა.

უნდოდ თავათ ეძროძა,  
ეცხოვრებ თავის ოფლითა;  
სურდა ეველებფრის შესწავლა  
დატკბობა წუთა-სოფლითა.

III.

გაუიდა მარიობისთვე,  
მთლათ გადაუვითლდა მთა-ველი:  
აღარ სჩანს სათიბ-საცელი  
აღარსად ერთი მტკაველი.

უნდა მიმართონ მეტყველებმა  
ახლა თბილ ქვეყნის მხარესა,  
გამოესაღმონ დროებით  
აქაურს არე-მარესა.

დაღონდა კუტი მეტყველი,  
მთელი ოჯახი, კრებული,  
უფრო კი მეტათ დედ-მამა  
დაფრინვენ გაოცებულნი.

შეილი არ უნდათ დასტოვონ  
ცა ქვეყნის ანაბართა,

თან წასაუვანათ ვეკლანი  
 გარს შემოერთენ ჯარათა.

მხრებში შეუსდეს დედ-მამა,  
 ერდომდის ააწიალეს  
 და, რა ვერ შესძლო მან ფრენა,  
 უკანვე დაატრიალეს.

ჩამოსხდენ ბუდის ჰიწყედა  
 დაღონებულის სახითა,  
 დაუწეეს გამოთხოვება  
 ტირილითა და ვახითა.

დაჰკოცნეს, გამოესალმენ,  
 შემდეგ დამწკრივდენ განსედა,  
 გულ-ამოსკვნილი ჭიკჭიკი  
 დაიწეეს დაბალ ხმაზედა.

უძღერდენ ასე კარგა ხანს  
 ნუგეშსა სცემდენ მრავალსა,  
 შემდეგ აზრინდენ, გაუდგენ  
 თავანთ გზას, შორის სავალსა.

#### IV.

ამ სურათს მთელი ოჯახი  
 უძეგრდა გლოცვბული,

ებრალებოდათ მერცხალი,  
ტირლით დაოსებული.

—

საბრალოს მეტის სლოკინით  
გული მთლათ ამოსჯდომოდა,  
ან კი რა ექნა უბედურს  
უშობლოთ, უთვის ტომოდა,

—

ვინ მოუვლიდა მას ისე,  
როგორც დედა-შობელი,  
მისი სულის დგმა, სიცოცხლის  
შარბათით დამატებობელი.

—

განა კი დედა საბრალო  
არა ჭფიქრობდა ამასა,  
მაგრამ სხვა ბევრი შვილები  
მარტოთ ვერ ანდო მამასა.

## V.

დედას აუტყდენ ბაღდები:  
დედილო, კენაცვლებითო,  
რამე, ვუშელოთ მერცხალსა  
თორემ ჯავრითა ვკვდებითო.

იქ რომ ის არის მარტოა,  
 ჩვენ აქ გულები გვწუდებო  
 ამდონ ხანს ერთი ეჟლად,  
 ან კი როგორა დგებო!

სმა-ჭამის გარდა საბრალოს  
 განა სხვა არა უნდარა?  
 — დედას იამა გულშია  
 შვილების ხვეწნა-მუდარა.

ჩამოიუვანეს მერცხალი,  
 ფრთა გაუშინჯეს, გაუსსნეს,  
 ერთ კვირას დაბლა ამყოფეს,  
 კვირგინში აღარ გაუშკეს.

ეოველ დიღ-დიღით მოტყეს აღს  
 ფრთას უსწორებდენ სელითა,  
 უვლიდენ, ეფერებოდენ  
 აჭმევდენ თავანთ სელითა.

მოშინაურდა მერცხალი,  
 გული კვლავ მისცა ლხენასა,  
 ფრთა გაუსწორდა, გაძალა,  
 აღარ უშლიდა ფრენასა.

დაიწყო ჭიკჭიკ-გალობა  
ხალისით მხიარულათა  
დაუძმობილდა ბაღღებსა  
და მათ მიეცა სრულათა.

სადილობისას სუფრაზე  
იმათთან ერთათ ჯდებოდა,  
შეექცეოდა ნამცეცებს,  
არაფის ერიდებოდა.

მას აღარ განსენებია  
საჭმელათ ჭია, კალია,  
მთელი სამთარი ამ ეოფით  
გაათავა და გალია.

VI.

გავიდა მკაცრი სამთარი,  
ცამ ლურჯათ მოიკრიბლა,  
მზე მიწას დაუახლოვდა  
და სითბო დაატრიალა.

დამდნარს თოვლი,-უინული,  
ბუნებას გაუღიძია,



ზვავს იბერტუავენ მხრებიდან  
სადაც კი მთების ქიმიან.

5 <sup>იღა-ქმ</sup>  
ვადვივდა მიწაც, გაფუვდა,  
გაივსო ძალით, ღონითა,  
ველი ირთვება, იკობა  
უვავილებსა კონითა.

6 <sup>ქსიძე</sup>  
შინ აღარ დგება მერცხალი,  
მთელი დღე გარეთ სრიალებს,  
მის გული ჰაწაწკინტელა  
სიამოვნებით ფრიალებს.

ჰეჰელებს აღარ ასვენებს,  
ნაგარდობს, დაფორიალებს,  
ხან ხის წვეროზე დაჯდება  
და მზის სხივებთან ცქრიალებს.

დედ-მამას ელის წამის წამ  
მორიდან მომავალებსა,  
სულ სამხრეთისკენ დაფრინავს,  
აღარ ასვენებს თვალებსა.

7 <sup>3</sup> <sup>2</sup> <sup>1</sup>  
გამოჩნდა გუნდი მერცხლების,  
ჭიკჭიკით მოიძღვრიან,

სალამს აძლევენ ნაცნობ ველს,  
თან სოფლებს გადმოსცქერიან.

↙ რა ამბავი აქვთ, რა ეოფა,  
ნეტავ განზენათ თვალითა!  
სოფელს გარძემო მოედვენ,  
ჭევიან მთელის ძალითა.

აგერა მათი დარბაზიც,  
მათი გვირგვინი ჭდეული,  
აქ დარჩენილი მერცხალი,  
მთლათ სისხარულათ ქცეული.

შემოვხვივნენ, გაჭკოცნეს,  
გადავხვივენ ფრთებითა,  
შემდეგ შუაკულ აუარსე  
დამწერივდენ დალაგებითა.

დაუწეეს რაღაც ამბავი  
მერცხალს თავიანთ ენითა,  
დაღონდა, გაშრა საბრალო,  
გული აევსო წყენითა.

ფრთები დაუშვა, ჭიკჭიკი  
უცბათ შეაწედა ენაზე,

დაეცა უხმოთ-უსულოთ.  
 გულადმა დაბლა კერასე.

არაჲინ იცის, რა უთხრეს  
 სულეველს გაკვირვებულს,  
 ეს კია მისი დედ-მამა  
 წელს აღარ დაბრუნებულს.

შ. მღვიმელი.





## სახალწლო სურათი.

ას მიბრძანებთ კიდევ?—მოწიწებით ეუბნებოდ-  
და პატარა, მოხდენილი სპარსელი ბაყალი  
კნენა თაფლოს, რომელიც ციბრუტივით  
ტრიალებდა დიდ გაბრწყინვალებულ ხილის  
ლუქანში ერეენის მოედანზე.

—აი, ხომ ხედავ ვეცებ, ვათვალთვრებ თუ კიდევ არის რამე  
რიგიანი შენს ლუქანში, რომ ვიყიდო.

—ჩემ ლუქანში, ქალბატონო, რა გინდა რომ არ არის! მთელი  
სპარსეთის საუკეთესო ხილეოლობა, სულ ახალ ახალი, წრევანდელი  
ნაკრეფი, სუფთათ და ლაზათიანათ მამზადებული. ნახეთ ეს ყუთე-  
ბი, სწორეთ თქვენი საკაღრისი და მოსაწონია!

—მართლა, აი, აღჯანბადი რა სუფთაა. ასწონე ათი გერვან ქა;  
აი, ინდისხურმაც რა მშვენიერია! ესეც ათი. აი, ეს დიდლონი აველ-  
სინებიც ორმოცი ჩააწყე.

ასე და ამ რიგათ თაფლოს ნაეაჭრი პარკები ჯარივით ჩამომწ-  
კრივდა ლუქნის დაზგაზე და ის კიდევ მოუთმენლათ დატრიალებდა  
ლუქანში, რომ კიდევ ეპოვნა რამე იშვიათი ნუგბარი.

თუმცა თაფლო უშვილო იყო და ამ ახალწლის წინა დღეს  
შინ იმის მინატანს სიხარულით და ყიჟინით არავინ დაუხედებოდა,  
მაგრამ ეს მდიდარი ყმაწვილი ქალი იყო და თავის თავს იყოლიებდა;  
ვაქართანაც ცოტა არ იყოს თავი მოჰქონდა და მედიდურობდა.

ლუქანში აუარებელი მოვაჭრე ხალხი შემოდდიოდა; ოცამდე  
ნოქარი, ლუქნის პატრონისათვის სპარსულათ ჩაცმული, მარდათ და  
ზრდილობიანათ უწონავდნენ ყველას, ს აჩქაროთ აძლევდნენ ხურდას,  
სუფთათ ახვევდნენ ქალაღებში, აწყობდნენ პარკებში ნაეაჭრს და

თან არეულ ღუქანს ალაგებდნენ, გაყიდულის ალაგას საუკეთესო ხილს ალაგებდნენ საჩინად, ცუდს, დამპალს, დაზიანებულს ქვეშ აყოლებდნენ და მყიდველთა შეუნიშნავათ ათასში ერთს წონაში აპარებდნენ. თვით ღუქანის პატრონიკი, როგორც საუკეთესო მოვაჭრეს, თათლოს თავს დასტრიალებდა და ისიც შეუყენებლივ სიცილ ხარხარით ვაჭრობდა და ვაჭრობდა.

—ამ სამი შაურისა „კალფეტი“ ამიწონე! ბოხის, რიხიანის ხმით სთქვა ღუქანში შემოსულმა შუანის გლეხკაცმა და საერთო ყურადღება მიიზიდა ჯერ თავისი კილოთი და მერე იმ მცირე ფულით, რომელიც იმან ისე თავ მოწონებით დახლზე გადაადგო; ყველას გაეცინათ, ვაჭრებსაც და მოვაჭრეებსაც. გლეხი ცოტა არ იყო შეკრთა, მაგრამ უკან კი არ დაიხია და დაზგასთან უფრო ახლო მიიწია.

—უკან, რეგენო, აქ სად მოხვალ, არა ხედავ პატროსანი ხალხი დგანან. ჰა, შენი სამი შაური, ჩვენ საშენო „კალფეტი“ არა გაქვს.

—როგორ არა გაქვს, კაცო, ავე ი წითელი ნუღლი ამაწონე! პატარა ბიჭსათვის მინდა, ჩქარა გეთაყვა, მეშურება, სოფელში ვეღარ აუწევ, ხედავ შუადღე გადასულა.

—გეუბნები, არ არის მეთქი, უფრო შეუტია მეღუქნემ. სხვაგან წადი, იქ იყიდე. რას ჩაგვაცივდი.

—შე დალოცვილო, მამე, რაღას მალაპარაკებ. ახლა სხვაგან ხალა წავიდე, გეუბნები დამიგვიანდა მეთქი.

—არ არის! არ არის! არა! ვერ გაიგე, უფრო შეუტია ერთმა ნოქართაგანმა და სახელოში ხელი წაელო კარში გასაგდებათ. გლეხი გაუძალიანდა. მოვაჭრეთ ხარხარი დაიწყეს.

თათლოს გულში რაღაც სიმწარემ გაურბინა, ამას თითქო პირად შეურაცხებათ ეჩვენა, რომ თათარმა ქართველ გლეხს, საწყალ ბეჩავ გლეხს იმგვარი უსამართლობა მიაყენა, რომ ამ უცხო ტომის ხალხმა მის საქციელზე ხარხარი იწყო და უნებლიეთ გამოესარჩლა.

—შენ როგორ შეგიძლიან არ მისცე, ის, რასაცა გთხოვს, სასტიკათ შეუტია ვაჭარს,—მაგისი რა ბრალია რომ მეტი არა აქვს. მერე მიუბრუნდა გლენს და ტკბილათ უთხრა: აბა რა მიგაქვს სოფელში, ძმობილო, სახალწლოთ?

—ბეგრი არაფერი შენი ჭირიმე. აი პატარა ფურნის პური ვიყიდე, დედაკაცისთვის თაფალი, გოგოსთვის ფლოსტები, პატარა ბიჭისთვის ჩუტები; ეს სამი შაურილა გადამრჩა და მინდოდა ბალღებისათვის „კალფეტები“ მეყიდნა, ახალი წელიწადია ხვალ, შენი ჭირიმე, მიუკვლევდი, გვახარებდი და ეს ოჯახქორი მასხარათ მიგდებს, ტყუილათ მაგვიანებს!—მწუხარებით დაუმატა გლენმა.

თაფლო ბუნებით კეთილი ქალი იყო, იმის გული ადვილათ შეინძროდა ხოლმე კეთილისათვის, მაგრამ როგორც ცხოვრებისაგან გალალბულს და ბედნიერ დედაკაცს, ყოველთვის კმაყოფილებით და ფუფუნებით გათამამებულს, იშვიათად შეხედრია ფიქრი გაქირვებულზე, ჩაგონებითაც არავის ჩაუგონებია ამისთვის, რომ კეთილი საქმე ერთი უპირველესი მოვალეობათაგანია ადამიანისათვის და ამისათვის იშვიათად ამოქმედებდა თავის გულის კეთილ მიდრეკილებას. ამ ბედნიერ დღეს, ამ კმაყოფილების და მხირულების დღეს, ამას თვით დედაკაცურმა ინსტიქტმა აგრძობინა, რომ ძველ მაზრაში გახვეული გლენი, თავის მხარზე გადადებულის დაკლფჯილის და ცარიელის ხურჯინით და სამი შაურის სანუკველით, შესაბრალოა და ქალის ბუნებით კეთილშობილურს გულში დახმარების და ხელის გამართვის სურვილი გამოიწვია.

— აბა, აბდულ, გადმოიღე ეს ლამაზი სურათებიანი კანფეტის ყუთები. მერე მოუბრუნდა გლენს და ჰკითხა: —რამდენი შეილი გყავს ნათლ მამ?

— ოთხი შენი ჭირიმე. ოთხი.

— აი ეს ოთხი ყუთი კაშვეტებით ჩემ მაგიერათ შენს შეილებს წაუღე, აი ეს ათი გირვანქა ხველი ხილიც, აი ეს აველსინებიც. თაფლი, საგოზინიყე ნიგოზი აქვს შენ დედაკაცს?

— არა შენი ჭირმე. გოზნაყი რა ჩვენი საქმეა! მაგრამ რას ბრძანებთ, რას სწუხართ, თქვენი რა ბრალია, რომ ჩვენ ღარიბებზე ვართ, გლვებ კაცის საქმე სულ აკრევა, შენი ჭირმე, გლვებ კაცმა ყველა უნდა მოითმინოს, დარცხვენით ამბობდა გლვები და სულ უკან-უკან იწევედა გასაქცევათ.

— მაშ თაფლიც ხუთი გირვანქა, ხუთიც ნიგოზი, — უბრძანათაფლომ გაოცებულ აბდულა თათარსა და ყველა ეს გლვებს ძალათი ჩააწყობინა ცარიელ ხურჯინში, ხელშიაც ხუთ მანათიანი ჩაუდგა და განხარებული და აღტაცებული გლვები შინისაკენ გაისტუმრა.

## II

შენი-ბინდია. დიღმის მინდორზე საშინელი ქარი ჰქრის და ყინვა ისე უქერს, რომ თვალებიდგან ცრემლები სცივია გრიგოლა ბოტორაშვილს, ცხვირის წვერი მთლათ მოაძრა, ცალი ხელი, რომლითაც ძვირფასი ხურჯინი ეჭირა, სულ გაეყინა, მაგრამ ის მხიარულად მიაბიჯებს, მირბის და ქარს შეუპოვრად უშვევს თავის მძლავრ, განიერ გულს, თავის გახეხილ მაზარის ქვეშ სიცივეს არა ჰგრძნობს, პირიქით პირზე ღიმილი არა შორდება. „ჰა, ჰა, ჰა! ირა აღამიანს შეეხვდი! ნეტა ღეთის შეილი იყო, თუ ანგელოზისა? ამდენი ხანია ქალაქში დავიარები, კაცს ლამის ქალარა გამომერიოს და ამისთანა არამც თუ არა შემთხვევია, გაგონებითაც არა გამიგონია რა! რა ყოფაში ჩავარდება ჩემი სახლობა ამ მონატანს რომ დაინახავს! აი დაილოცა ღმერთო შენი სამართალი! შენ გაჩენილ კაცს რომ უნუგეშო არ დაადებ, მე ამ ხუთმა მანათმა უფრო გამახარა! ერთი მუჭა ფქვილი არსად გექონდა, ამითა ერთი ფოხალთ მოგვივა და კარგი ნუგეშია ჩემი ცოლშვილისათვის. ჩემ პატარა სოლოუას როგორ გაეხარდება ყუთზედ გამოჩატულ ლამაზ, თავისავეთ ცუგრუმელა, ბიჭს რომ დაინახავს! აი დაილოცა, ქალბატონო, შენი გამჩენი, ვილაცა იყავი, ჰო და ჰაი!“

ამ ფიქრებში გართული გრიგოლა შეუნიშნავათ მიუახლოვდა თავის პატარა ქოხს დიღმის ბოლოში და ამაყათ მიაბრახუნა კარები.

— ოჰ, კაცო, მოხველი, მადლობა ღმერთსა, სინარულით შესძახა გრიგოლას ცოლმა ნინომ. ე, ოხერი ქარი ისე ქრის, ისე საუბედუროთ გაუდის ბზუილი, რომ შიშით გული მისკდებოდა, ი კაცი გზაში კი არსად გაიფიხნოს საღმე მეთქი!

— გაეციანო რა, ხამი ვარ, მე შენ გითხრა, ქალაქში სიარულს, კვირაში სამჯერ აღარ უნდა აექსელ-ჩაექსელო დალოცვილო ფოშტის შოშე! მხიარულად სთქვა გრიგოლამ და გახურებულ რკინის ფეხის წინ სიფრთხილით მოიხსნა ხურჯინი.

ამის შეილებს ორს პატარას ეძინათ და ორი უმფროსი ფეხის თავზედ სიმინდის ხალვაში იყვნენ გართული.

— აბა, დედაკაცო, მოიტა ხონჩა და ლანგარი, ხეთის მოწყალება დაეწყით, ხომ ხედავ რა გვარ არის გაქიკნილი ე ჩენი დაძველებული ხურჯინი?

— ქა, მართლა, რა ამბავია? რითი გაგიმსია ადამიანო? სინარულით წამოაძახა ნინუამ და თან ხელი შემოუსვა მართლა და ძალზე გაქიკნილ ხურჯინს.

— ნელა, ნელა, დედაკაცო, თავლი არ დაღვარო.

— მამაჯან, რა მოგვიტანე, რა? თავლი? კალფეტები, ფლოსტები?... საჩქაროდ მივარდნენ მარო და სანდრო.

— კალფეტები და მერე რა კალფეტები, სიზმარშიაც არ მოგჩენებიათ, თქვე საცოდავებო და განა მართო კალფეტები? და გრიგოლა? ნელ-ნელა დარბაისლათ, აუჩქარებლივ დაუწყო ხურჯინს ამოლაგება.

— ღმერთო ჩემო, ღმერთო! ვინ მოგცა კაცო ყველა ეს? ვინ? თან სინარულით ეკითხებოდა ნინო ქმარს და თან შიშის ზარი უფლიდა გულში.

— ვინ მომცა და მოვიპარე! ოხუნჯობდა გრიგოლა, განა ჩვენ შეიძებს კი აწყენთ ყოველი ბედნიერება.

—კარგი! ღმერთს ნუ აწყენ, მითხარი ვინ მოგცა, თორემ აგერ გული გამისკდება.

—გზაზე ვიპოვნე, დედაკაცო. უთუოთ ღმერთმა გამოუგზავნა ჩვენ შეილებს და თან ეშმაკურათ გაიღიმა.

—ბეჩა, რას ხუმრობ, ადამიანო, მითხარ თორემ სულ კარში გადაყრი...

—აი, შე ლაჩარო, შენა! განა აეკაცობაც შემაწამე?—და მოუყვა თაფლოს წყალობის ბოძების ამბავს, მის მშვენიერი მოღიბარი პირისახის აწერას, მის გასაოცარ მორთულობას, მის გულის ღმობიერებას და სიუხვეს. „აი დედი ჩემის ღმერთსა, დაუმატა თავის გაქნევით გრიგოლამ, ერთი ასიოდ რომ ყოფილიყო იმისთანა ქალბატონი, რამდენი მხიარული ოჯახი იქნებოდა ეხლა ჩვენ სოფელში!

ნინომ სინარულით პატარეებიც დაადეიძა და იმისთანა ზრიაშული და ყიჟინა შეიქნა ამ პატარა ოჯახში, ასეთმა კმაყოფილებამ და ბედნიერებამ მოიცივა ბოტორიშვილის ოჯახის ყოველი წევრი, რომ კნენინა თაფლოს რომ დაენახა, ან წარმოედგინა, თავის სიუხვეს გაათათასებდა და თავის კეთილს გულს უფრო ფართო გზას და უფრო დიდ სარბიელს გაუჩინდა.

ქე. გაბაშვილი.





ო ბ ო ბ ა.

\* \* \*



წორეთ კაი ალაგას  
 მოუბგენ აქა, მეტს ვე-  
 ლარც კი ვინატრებდი.  
 იმასდა დიდი, კმელ-  
 ფესებიანი, შავი, ბან-  
 ჯგვლიანი ობობა და

თან თავის მტკიცე ქსელსა ჭქსელავდა, ადიოდა და ჩამო-  
 დიოდა, გარბოდა და გამორბოდა, ბადესჯითა ჭქსელავდა,  
 ჭხლართავდა ერთმანეთში ძაფებს და სადაც გასაწევეტი  
 ეკულებოდა, მეორე და მესამე წვერს უტოლებდა და ამა-  
 გრებდა: იქნება რა ნადირი მოჭხვედროდა, უნდა გაეძლო  
 თუ არა.

— უეურე, ვარდო, უეურე, რა ჩოხას კიქსოვს ეს  
 ფეიქარა. წმინდა და მტკიცე მოუქსოვე, ფეიქარ, ვარდოს,

ე ჩოხა და იმდენ ბუხებს მოგართმევს, ჭამას ვერ ას-  
 დიოდე!

— აბალე, ანდრიკო, სად არის ფეიქარა? ოჰო, შე-  
 ნიძნა ვარდომაც, მოდი ერთი მიზურგულე, ჩამოუკლიჯო-  
 მაგ ვერანასა, მანდ რა ქსელს აბამს, არც ეკ მინდა და  
 არც მაგის მოქსოვილი ჩოხა!

მაგრამ ფეიქარას ავრე დაბლა როდი გაება თავისი  
 ქსელი, რომ ბალღებს ჩამოეკლიჯათ!

\* \*

ფეიქარამ გაათავა თავისი ქსელის ქსოვა, სამი მხრით  
 კედელზე მიაბა, ერთი მხარე აუშვა; ძირსაც ლასტივით  
 დაუკიდა თხელი ხაჩანა. თითონ გახეთქილ კედლის კუნ-  
 ჭულში შეძვრა და მოიბღუნმა.

— ხომ არა გციავა, ოსტატო, რას მობღუნებულხარ,  
 ან იქნება დაიბალე ქსელის ქსოვაში? რამდენ ბუხს მო-  
 უქსოვე სუდარი, ეკითხება ორთავიანი უურძელა.

ფეიქარამ სტუმრის დანახვაზე წამოიწია, აიძართა და  
 თავის გძელ კაჩებსე შედგა. ეჭვით აათვალიერ-ჩაათვალიე-  
 რა გძელ კუდიანი სტუმარი.

— რა დროს ხუმრობაა შე სულკურთხეულის შეილო,  
 ლამის შიმშილით მოვკვდე. წელეები მეწვის. ზრდილობი-  
 ანათ გაეპასუხა ობობა და თან გესლიანათ გადაჭხედა,  
 როცა მიბრუნდება, ერთი დავეტაკოვო, მაგრამ უურძელა  
 არ მიბრუნებულა, ისე უკან-უკან გაკლინდა.

— ეგ კაი სული არ იქნება, იფიქრს ფეიქარამ, თორემ მაგას ორი თავი არ ებმის.

ცოტა არ იუოს, ეურმელის მოსვლამ შეაფიქრიანა და თავისთვინაც ბუდე აზრუნებინა.

\* \* \*

ძინავს ობობას, თუ ჭღვიძავს, ღმერთმა იცის; — იმოდენა ფეიქარი ქინძის თესლის ცოლი აღარა ჩანს, ვინ იტყვის თუ ცოცხალია. სულს არ იქცევს. ირგულივ ერთი ბზუკუნი და ბზუილი ისმის, ობობას ქსელი ოდნავ იძვრის. როცა ერთბაშით შეიძვრის, მაშინ ფეიქარა ცალფეხს სჭიმავს და თუ ვერაფერს შენიშნავს, ისევე თავის ეშმაკურ მილს ეძღვევა.

— აქეთ მოდი, აქეთ, შე სულელო, ვერა ჭხედავ, ქსელია მანდ გაბმული, ემასის ერთი მწვანე კაბიანი ბუზი შავებში შორთულს.

— მაგ ქსელმა დაგაქვრივა, შე ბრიუვო და შენც იქით იწევ.

— ქა, რა ქსელი, რის ქსელი, მაგისთანა სამასხაროს ჩვენი ბაღლები კი არ აკეთებენ! მოდი შენცა, ქალო, ვნახოთ, რასა ჭქსოვენ.

— ბზუუ, ბზუუ! ჭირვეულობს შავკაბიანი ბუზი. ეს ერთი ფეხი რო გამეხლართა, ეს არაფერი, მეორეს მოვჭიდო ხელი და სულ ჩამოვწვივითო!

მაგრამ დახე უბედურობას, მეორე ფენაც შიგ არ გაე-  
ხლართა!

— ბზზზ... ისმის მოსაწყენი ბზუილი, ესეთქება აქეთ-  
იქით შავკაბა.

— აგერ ვიდაც კმელფენა მორბის, მორბის... სწო-  
რეთ ჩემ საშველათ მოდის...

— ბზზ... ბზზზ... კვნესის შავკაბა და თან ხმა უწე-  
დება.

— წუუუ... ისმის ძლივს-ღა ფეიქარას კლანჭებიდან.

\* \* \*

ვინცის რამდენი ბუხი გამოსუტა ფეიქარამ, დიდი  
და ჰატარა, მჭლე და მსუქანი. იმისი ქსელი სულ შავათ-  
და იყო შესისხლული. ახლა რამდენი ძირსა ცვიოდა!

როცა ჰატარა ან ბუხი მოხვდებოდა ქსელში, ან ქინ-  
ქლა და მუძლი, გასუქებული ობობა ეურსაც არ იბერტე-  
და, — ჯერ ბევრი მოგროვდესო.

შესწორებდა თავის ბადეს და მერე ისევ სოროში  
შემპრებოდა. (არც თავის მოღვმას ჭხოკავდა, ვინც კი  
ხელში ჩაუვარდებოდა, ბუხების დღეს აუენებდა.)

— როგორ შენ და შენი ქსელი, რასა კოწიწობ, ფეი-  
ქარო, მე შენი მოქსოვილი სამოსელი არ მინახავს, წა-  
მოდო ჩემთან, ისეთ ლექსებს მოგიყუე, ჰაჰაშენსაც არ გა-  
ეკონოს, — ეძრახება ჭრიჭინა.

— ნეტაი შენ, უსაქმურო, ე ქსელი არ დამიკლიჯო,



რას დააღაჯუნებ უცხო-უკლთ, ბინა შენ არ გინანს, ცო-  
ლი და შვილი. საფხულში დიდი გული გაქვს, რაკი სა-  
ჭმელი ბევრი გაქვს, და შენი ჭრიჭინით ეურებს გვიწო-  
ებ, სამთარში კი, როცა სიცივე მოგიჭერს და მუცელი  
აურსაურს დაგიწეებს, მოჭეუები და ჭევირი: „მიშველეთ,  
მიმძილით ნუ მომკლავთ, გამომკვებეთ, თქვენი მგოსანი  
ვარო“. მე კი ჩემი ქსელით დღესაც მამღარი ვარ და სამთ-  
რისთვისაც მრავალი ჩავამუყუქე. შენ კი მაგრე მძიერმა  
უნდა იტლიკინო.

— ფუ, შენც შეგარცხვინა ღმერთმა, შენი მუყუყიც და  
შენი მუცელიც! მიამასა ჭრიჭინამ და სტუნაობით განე-  
შორა ადგილსა მას მაცდურებისასა და თან უკან იხედე-  
ბოდა, არავინ მომდევდესო.

\* \* \*

ღამეა. ვარდოსა სმინავს. ფეიქარასაც მინავს თავის  
მანქანასთან, თუ კი იმას ძილი მიეკარება.

არა მინავს ერთ კოდო-მხედარს. მო რთულ-მოკაზმუ-  
ლი, ხმალ-ხანჯლიანი, ფიტო-ტამბახიანი, ის მსუბუქათ  
დააქროლებს თავის კანჭ მძალ ცხენს ვარდოს ოთახში.

არც თუ მუცელი ამძიმებს, რამდენიმე კვირას, სორ-  
თუმი აღარ გაუწითლებია.

ასე დანავარდობდა ჩვენი კოდომხედარი, ხან ერთ  
კუნჭულში მიასეთებდა თავის მერანს, ხან მეორეში, ეგე-  
ბი სასუსნს სადმე წასწევტოდა.

აი, მიაგნო ვარდოს. გაუქროლ-გამოუქროლა, საბან-ზე ჩამოხტა, სორთუმი მიუს-ძოუსვა, სად არის სირბი-ლეო, ვერა იპოვარა, ახლა შუბლზე დააჯდა და ჩაუეარა თავისი წვეტი სორთუმი, დაუწყო წუწნა.

სწუხს ვარდო, ხვნეზის, აქნევს მძინარი ხელებს, მა-გრამ მხედარი კოლო აინუნშიც არ იგდებს. გამოძდა, გაიმსო, მუცელი წითელი გუდსაწვით გაუხდა, გაძლა და მხიარულათ გაფრინდა, თან საგალობელი შემოსძახა. სა-გალობელი და რა საგალობელი, სულ თათრული ბაიათები.

ეს ერთი ხო მაინც კიდევ გაძლა, მერე კიდევ სხვა ვარდო შეხვდება.

ახლა კი უნდა მოვისვენო სადმე კუნჭულში მოფარე-ბით, სანამ მოვინჯლო და მერე მე ვიცი კიდევ.

მოდის და მოიძღვრის.

აი დახვდა წინ ობობას ქსელი. კოლო მხედარი დაე-ჯახა ხედა და კინაღამ ცხენი დაეჩხა.

— ვინა ხართ, თქვე მუდრეგეცო, რა გზა შევიკრავთ, გააღეთ კარი, გაძიშეთ, არ იცით რო სახალის ბატონი ვარ!

მაგრამ კოლოს ევირიღმა ვერავინ შეაშინა და სმა არავინ გასცა. გაბრაზებული კოლო ეცა კიდევ და ფეი-ქარას ქსელში გულდაღმა კი გადავარდა.

— იმი, იმი! იმხის ფეიქარა, ეს რა კარგი ნოყე-რი მაზა შემხვდა. შენ მოსვლას კი ვენაცვალე!

წუის კოდო, მაგრამ ტყუილათ. მეორე დილით კოდომხედრის ფეხები ობობას კარებზე ეკიდა. აფსუს!

\* \*

თავის რჯულის ხალხში ჩვენ ფეიქარას ძალიან სასელი ჰქონდა გავარდნილი, კაი მოხერხებულ და დოვლათიან კაცათ თვლიდენ. ბევრს ენატრებოდა კიდევ იმისი ლუკმა.

ფეიქარა კი იტყოდა ხოლმე: „რათ უნდა გპურდეთ, შვილო, ჩემ ალაღ ლუკმასა ვჭამ, არავისრას ვართმევ, არავისრას ვეცილები, თქვენც კაისარჯეთ, თვალი გაახილეთ, წუთისოფელი იცანით, ეურები გამოიჩინეთ და ერთ ლუკმას თქვენც შესჭამთო“!

ობობას მოდგმა, მოგესსენებათ, ძრავალია, და სადაც კი ბუსი გაუჩინა ღმერთსა, ობობაც თან დაჰყოლია.

მოდგმა ერთი აქვთ, მაგრამ სხვა-და-სხვა ქვეყანაში სხვა-და-სხვა სახის ობობები ცხოვრებენ, ეველა კი ერთმანეთს იმითი ჰგავს, რომ საძინელი მოსისხლეებია და თუ არ ცოცხალი არსების სისხლით, ისე არ შეუძლიათ თავის დარჩენა. თითქმის ეველა ქსელს აბამს და იმითი იჭერენ ჰატარა მწერებს. ზოგი დიდა, ზოგი ჰატარა, უეჭველია, ზოგი რო საცოდავი იუოს, ზოგი უფრო ონავარი იქნება.

ჩვენი ნაცნობი ობობა-ფეიქარი კაი ხანი ცხოვრებდა იმ კუნჭულში; თუ ერთი ქსელი ჩამოუწვდებოდა, ან ჩა-

მოჭკვიდენ, ის სხვას აბამდა. მიწს მუდამ მრავლათ ეუბრა-  
 რს იმისგან გამოსუტვილი მწერები. იმათში სულელი ბუ-  
 სიც ბევრი იყო, კოდო-მხედარიც, მკბენარს კრახანაც,  
 მგოსანი ჭრიჭინაც, ბანჯკელიანი ბუხურაც, საქონლის  
 მკბენარს ბაურაც და მშრომელი ფუტკარიც. ვისაც რა  
 ხერხით დასძლეოდა, ვეულებს მიირთმევდა.

მართლად და ეოჩადი იყო სისხლის წოვაში ჩვენი ნა-  
 ცნობი ობობა-ფეიქარი!

მაგრამ უკვდავ-უბერებელი ხომ არ იქნებოდნენ? — არა-  
 მგონია.

ერთ ღამეს ძალიან ცუდი სიზმარი ეზმანა ფეიქარს  
 და დაფეთიანებული წამოიჭრა ზეზე.

იღამეს თვალი ვეღარ დასუჭა, თუძვა ბევრი ეცადა,  
 ხღარ დაეძინა და აღარა.

ფეიქარამ შენიშნა, რომ ამის ქსელზე მძიმე ვიღაც  
 დაიარებოდა და არა ჩვეულებრივ ანძრევდა. დაუგლო ეუ-  
 რი, — თუ ნადირი მოხვდა, რატო ხმაურობა არა ისმის-  
 რაო, არ გაინძრა ადგილიდან, ჯერ რივიანათ გაიხლარ-  
 თოსო.

მაგრამ ხმაურობა არა ისმოდა და ქსელზე კი ნა-  
 მდვილათ ვიღაც იყო. იქნება ჭია რამე ჩამოვარდა და  
 უხეიროთ ლახლახებს. ის ხომ ვერ მიკბენს, გაგვიდე, ვნახო.

წამოხტა ფეიქარს და საჩქაროთ გაექანა იქითკენა, სა-  
 დაც რაღაც იძროდა, მაგრამ გულგახეთქილმა თოფნაკრა-


• ვივით უკან მოცხრილს, — უკან ერთი შავი სახარელი  
 თბობს მოსდვადს.

— ოჰ შემობრალე, ნუ შემჭამ! კვნესოდა ფეიქარა. ან-  
 ლა კი გამიშვი და ამ ადგილიდან გადავიკარგები! — ვაიძე,  
 ვაიძე, გამიშრა სისხლი, ვკვდები, ვკვდები!

თბობას ჩაეუარა თავისი სორთუმი ფეიქარას წელში  
 და შექარვიითა წუწნიდა.

თ. რაზიკაშვილი.





შეშის მჭრელნი და მუხა.

(ეზოპიდან გადმოკეთებული)

ემის მჭრელთ წამოაქციეს  
საბრალლო მუხა ბებერი  
და მიესიენ ერთბაშათ,  
როგორც მიუხდეს მტერს მტერი.

დათაღეს მწვეტი სოლები  
და ხელი მიჭყვეს სეთქასა...

მუხა კი ამ დროს კმინაფდა,  
ბოღმა უძღიდა სუნთქვასა.

თან ნაღვლიანათ ამბობდა:

„სულ მეთუთქება გულიო,  
მაგრამ მიზეზი არ არის  
ჩემი მომჭრელი ცულიო.

„უფრო გულს მიქლავს სოლები  
ტოტთაგან გამოჭრილიო,  
რომლებიც, საუბედუროთ,  
ჩემგან არს გამოზრდილიო“...

ბ. დავითაშვილი.



## წმიდა ნინო.

I.

სწორეთ ათას ხუთასი წელიწადია მას აქეთ, რაც შავი ზღვის მახლობლათ კაბადოკიაში ერთა ღეთის მოყვარე ცოლ-ქმარი ცხოვრებდა. ქმარს საბუნნი ერქვა, ცოლსაც სუსანა. ისინი ჯერ უშვილონი იყვენ და ღმერთსა თხოედენ შვილი მიეცა მათთვის. უფა-

ლმა შესიმინა იმათი ვედრება: ეყოლათ ერთი ქალი, რომელსაც დაარქვეს ნინო.

მშობლებს ძლიერ უყვარდათ პატარა ნინო და თავს ევლებოდნენ. მაგრამ მაინც კიდევ ნინო რომ თორმეტი წლისა გახდა, მათ გადაწყვიტეს სულის ცხონების საქმეს შედგომოდნენ და მონასტერში შესვლა მოინდომეს. იმათ მხოლოდ ის აწუხებდა, არ იცოდნენ, რა უნდა ექნათ პატარა ნინოსთვის. ბევრი იფიქრეს, არჩიეს და ბოლოს ასე გადაწყვიტეს.

ნინოს დედის ძმა იუბენალი ბერათ იყო შემდგარი და მაშინ დიდი ადგილი ეჭირა—იერუსალიმის ქალაქის პატრიარქათ იყო. მშობლებმა მას მიჰგვარეს ნინო, განუცხადეს თავიანთი სურვილი და შეეხვეწენ, გაგვიზარდევო. პატრიარქმა მოუწონა ნინოს დედ-მამას მონასტერში შესვლა და სიხარულით აიყვანა ნინო. მშობლები ცრემლით გამოეთხოვეს ნინოს, დალოცეს და დაუტოვეს ბიძას.

იმ დროს იერუსალიმში ქრისტეს საფლავს ერთი ღვთის მოყვარე და სწავლული მონაზონი ემსახურებოდა. აი ეს მონაზონი მოიხმობდა ნინოს ბიძამ, ჩააბარა თავის დისწული და დაავალა გამიზარდევო. მონაზონმა წაიყვანა ნინო და დაუწყა აღზრდა. პატარა ნინო ძრიელ ჭკვიანი და ნიჭიერი ქალი იყო. ერთგულათ მოჰკიდა სწავლას ხელი, დიდი გულის-ყური გამოიჩინა და მალე შესწავლა როგორც წერაკითხვა, ისე საღმრთო ისტორია.

ერთხელ გამდელი მონაზონი ელაპარაკებოდა ნინოს. ქრისტეს წვლებასა და ჯვარცმის შესახებ და, სხვათა შორის, აი რა უამბო:

— „შვილო, ქრისტე რომ ჯვარზე აცვეს, მისი ტანისამოსი მცველებმა გაიყვეს. მაგრამ ქრისტეს ერთი მოქსოვილი სამოსელი ჰქონდა, რომელსაც კვანთს ეძახიან. მცველებმა არ იცოდნენ, როგორ უნდა გაეყოთ იგი, რადგან გაჭრა არ შეიძლებოდა. ბოლოს გადაწყვიტეს, წილი ეყაროთო. მართლაც ჰყარეს წილი და ის კვართი ერთ ურიას ერგო, რომელსაც ლონგინოსი ერქვა. ლონგინოსთან იმ დროს, თურმე, ერთი მისი ნათესავი მცხეთელი ურია ელიოზი იყო სტუმ-

რათ და ის კვართი იმას აჩუქა, ელიოზმაც საქართველოში წაიღო ის კვართი და ახლაც იქ არის მცხეთის ქალაქში.

— მერე ქართველებს რწამთ ქრისტე? — ჰკითხა ნინომ თავის გამზდელს.

— არა, შეილო, ქართველები ურჯულოები არიან და ხელოთ გაკეთებულ ღმერთებს ანუ კერპებსა სცემენ თაყვანს, — უპასუხა მან.

ეს იყო და ეს; ნინომ გადასწყვიტა გულში, როგორც კი სწავლას დაემთავრებ, უთუოთ საქართველოში წავალ, ქრისტეს კვართს ეიპოვი და იქნება, თუ ღმერთი შემეწია, ქართველები გავაქრისტიანო. მართლაც, ამ დღიდან დაწყებული ნინო სულ ამაზე ფიქრობდა, მაგრამ იმას ის აწუხებდა, რომ საქართველო ძლიერ შორს იყო და აქ წამოსვლა ახალ-გაზდა ქალისთვის მეტის-მეტათ ძნელი იყო. არ იცოდა, რა ექნა და როგორ წამოსულიყო.

## II.

ერთხელ, მისდა ბედათ, იერუსალიმში მივიდა რომის ქალაქიდან ქრისტეს საფლავის თაყვანის საცემათ ერთი ღეთას მოყვარე დიდი კაცის ქაჯი. იერუსალიმში იგი კარგა ხანს დარჩა. ხშირათ დადიოდა ქრისტეს საფლავის საყდარში და ლოცულობდა. ნინოს გამზდელი მონაზონი გაიცნო ამ ქალმა, დაუმეგობრდა და ბევრჯერ ეწვევოდა ხოლმე. ერთხელ ნინომ უამბო მას თავისი გულის წადილი და შესჩივლა: არ ვიცი, როგორ წავიდე საქართველოშიო. მან ძრვიელ მოუწონა ნინოს განზრახვა და ურჩია. მე წამყევი რომის ქალაქში და იქიდან უფრო ადვილათ წახვალ საქართველოშიო. ნინო სიხარულით დათანხმდა, გამოეთხოვა თავის საყვარელ გამზდელს, ბიძას, და წავიდა რომში. იქ იგი ერთ დღედათა მონასტერში დაბინავდა და კაი ხანს ცხოვრებდა სხვა ახალ-გაზდა მონაზვნებთან.

მაგრამ იმ დროს რომაელები — მომეტებული ნაწილი, ურჯულოები იყვნენ და იმათი მაშინდელი მეფე დიოკლიტინეც ასეთი იყო.

ამ მეფემ დევნა დაუწყო იმ მონასტრის ახალგაზდა მონაზვნებს, სადაც ნინო ცხოვრებდა. ამიტომ ნინო და სხვა მონაზვნებიც გაიპარენ რომიდან და სომხების ქვეყანაში გადხვეწენ, მაგრამ აქაც უარესი დღე დაადგათ: სომხების მეფემ შეიპყრა ისინი და აწვალა. გადარჩა, რაღაც სასწაულით, მარტო ნინო და გამოეშურა საქართველოსაკენ.

გზაზე იმდენი გაჭირვება გამოსცადა, რომ კინალამ იმედი დაკარგა, მაგრამ, როგორც ამბობენ, ერთ ღამეს, როცა მგზავრობისაგან დაქანცულ ნინოს ეძინა, სიზმარში გამოეცხადა ღვთის-მშობელი, გაამხნევა და ჯვარი მისცა. როცა ნინოს გამოეღვიძა, მართლაც, ნახა, რომ ხელში ვაზის რქისაგან გაკეთებული ჯვარი ეჭირა. ძლიერ გაეხარა, გამხნედა და იმედი მიეცა, რომ ღვთის-მშობელი მისი შემწე იყო და მაშასადამე მისი გულის წადილი ასრულდებოდა.

აღგა, ვაზის ჯვარი თავისი საკუთარი თმით შეჰკრა, დაიჭირა ხელში და გამოსწია. მტკერის სათავეს რომ მიუახლოვდა, ვიღაც მწყემსები ნახა და საქართველოსაკენ მომავალი გზა გამოჰკითხა. მწყემსებმა გზა ასწავლეს. ნინოც წამოვიდა, იარა, იარა და ბოლოს ურბნისის ქალაქში მიადგინა. ახლანდელი სოფ. ურბნისი მაშინ დიდი ქალაქი იყო.

### III.

ურბნისში მან ერთი უჩიის სახლობა გაიწნო და იქ დადგა. ერთ დღეს ნინომ შენიშნა, რომ ურბნისელები სადღაც წასასვლელათ ემზადებოდნენ. იკითხა და შეიტყო, რომ ხალხი მცხეთაში მიდიოდა, რადგანაც ქართველების უმთავრესი კერპის აჰმაზის დღეობა იყო მოახლოებული. ნინოც ადგა და წაჰყვა ნაცნობებს მცხეთაში. მცხეთაში მოგზაურები სწორეთ იმ ღროს მივიდნენ, რა დღესაც დღესასწაული იყო. მიადგინეს თუ არა, დაინახეს რომ ქართველების მეფე მირიანი თავისი სახლობით, მთელი დიდ-კაცობა და აუარებელი ხალხი დიდი ამბით მიდიოდნენ იმ მაღლობისაკენ, სადაც არმაზის კერპი იდგა. ნინოც, რაღა თქმა უნდა, გაჰყვა ხალხს.

არმაზის მთას რომ მიუახლოვდენ, ნინომ დაინახა, რომ ამართული იყო სამი კერპი, ერთი უპრო დიდი არმაზისა და ორიც სხვა. ხალხი გულ-მოდგინეთ ევედრებოდა კერპებს და, როგორც ამბობენ, პატარა ბავშვებსაც კი სწირავდენ, თურმე, მსხვერპლათ. ნინომ რომ ესეთი საძაგლობა დაინახა, საშინლათ შეწუხდა, ამდღვრია გული, გაშორდა ხალხს, დაიჩოქა, ხელები მაღლა ააპყრო და შეევედრა ჭეშმარიტ ღმერთს, მოეეღინა აჲ ურჯულთა ხალხისათვის რაიმე სასწაული.

მართლაც, ჯერ კიდევ არ გაეთაყვებია ნინოს თავისა ლოცვა, რომ ერთბაშათ ამოეარდა საშინელი ქარი, ცა დაიფარა შავი ღრუბელით, დაიწყო ქუხილი, ჩამოეარდა მენი და სამივე კერპი ლუკმა-ლუკმათ აქცია. ისეთი დიდრონი სეტყვა, თურმე, ცვივოდა ზეციდან, რომ ორ-სამ გირვანქას აიწონიდა. შემინებული ხალხი ერთბაშათ გაიფანტა და ყველანი თავ შესაფარს ეძებდენ, რომ სიკვდილს გადაჩენოდენ. როცა ბუნება დაწყნარდა, ყველანი ამ მოულოდნელ სასწაულის მაზვებს ჰკითხულობდენ და არ იცოდენ რითი აეხსნათ. ნინო ცდილობდა გაევერცხლებია ხალხში ხმა, რომ ქართველები ქრისტიანების ღმერთმა დასაჯა, რადგანაც ისინი კერპებს ემსახურებიან და საღმრთოსა სწირავენო; ქართველებს ბევრჯელ გაეგონათ ქრისტეს სახელი და ამიტომ ბევრმა დაიჯერა კიდევც.

ნინომ ისარგებლა ამით და აშკარათ დაიწყო ქრისტეს რჯულის ქადაგება.

მცხეთაში პირველათ გაიცნო მან მეფის მებადის ცოლი, რომელმაც თხოვა ნინოს, ჩემთან დადექიო. მაგრამ ნინო არ დათანხმდა ამან და შეეხვეწა მას, მიეცა ბაღში ცოტა ადგილი, რომ იქ დაბინავებულიყო. ნაცნობმა ქალმა სიამოვნებით აუსრულა თხოვნა. მაშინ წმიდა ნინომ აირჩია ბაღში ადგილი ერთ დიდ ხის ძირში, დაიდგა იქ პატარა კარავი, დაასვენა თავისი ვაზის ჯვარი და დღე დაღამე ევედრებოდა ღმერთს. აქ მასთან ხშირათ მიდიოდენ ნაცნობი

დედა-კაცები, ისმენდნ მის სწავლას, ხედავდნ მის სასწაულებს, თხოვდნ შევლას გაქირებების დროს და ზოგმა კიდევ იწამა ქრისტე.

## IV.

ნინო რომ მცხეთაში დაბინავდა, ქრისტეს კვართის ამბავი გამოიკითხა და აი რა შეიტყო: ელიოზმა ქრისტეს კვართი, თურმე, იერუსალიმიდან მცხეთაში წამოიღო. როცა შინ მოვიდა, წინ მას მისი და სიღონია მიეგება, გადაჰკოცნა დიდი ხნის უნახავი ძმა და ცრემლით უამბო მოხუცებული დედის სიკვდილი. ელიოზმაც უამბო დას ქრისტეს წვალემა, ჯვარცმა და ქრისტეს კვართი მისცა. ამ ამბავმა ისეთი გავლენა იქონია ახალგაზდა ქალზე, რომ ტირილი დაიწყო და კვართი გულში ჩაიკრა, და იმ წამსვე, თურმე, სული განუტევა. ამ სასწაულმა ყველანი გააკვირვა. დამარხვის დროს ბევრს ეცადნ გამოერთმიათ ხელიდან მკვდრისათვის კვართა, მაგრამ ისე მაგრათ ჰქონდა ჩაკრული გულში, რომ ვერას გზით ვერ გამოჰგლიჯეს, ამიტომ კვართი საფლავში ჩაატანესო.

დიდი ხანი აღარ გასულა, მცხეთაში ერთი შემთხვევა მოხდა, რომელმაც ძრიელ მოუმართა ხელი ნინოს. მირიან მეფის მეუღლე დედოფალი ნანო მძიმე ავადმყოფი შეიქნა. ბევრი უწამლეს, მაგრამ ვერა უშველეს რა. მაშინ შეატყობინეს დედოფალს, რომ აქ ვიღაც ერთი ახალგაზდა უცხო ქვეყნიდან მოსული ქალი ცხოვრებს, რომელიც ბევრ სასწაულს შერეზაო, მოიწვიეთ, იქბება, მან მოგარჩინოთო. დედოფალი ჯერ უარზე იდგა, მაგრამ შემდეგ დათანხმდა და დაიბარა ნინო. წმიდა ნინომ მოიტანა თავისი ეაზის ჯვარი, შეევედრა ქრისტეს, გადასახა ჯვარი ავადმყოფს და დედოფალი მორჩა. ამ ამბავმა ყველანი გააკვირვა, მაგრამ ნინომ გამოუცხადა ხალხს, მე კი არ მომირჩინია, ქრისტეს ჯვარმა გაჰყურნა დედოფალიო. ამას შემდეგ დედოფალს ძრიელ შეუყვარდა ნინო, მფარველობას უწევდა და თვითონაც მონათვლას ფიქრობდა.

მაგრამ იმ დროს მცხეთაში მეფესთან სპასრეთის ხელმწიფის ახალ-გაზდა ეაქი იყო სტუმრათ. წმიდა ნინოს სწავლამ და სასწაულებმა ისიც მოხიბლეს და ქრისტე იწამა. მეფე მირიანს ეს საწყენათ დაურჩა, ერიდებოდა სპასრეთის ხელმწიფის მონღურებას და საყვედურს. ამიტომ გაჯაერდა და მოინდომა ნინოს განდევნა მცხეთიდან, მაგრამ ჯერ ვერ აესრულებია, რადგან დედოფალი ნინოს ესარჩლებოდა.

## V.

ერთ შეენიერ დილას ნაღელიანი მეფე გასართობათ სანადიროთ წაბრძანდა და თავისი დიდ-კაცობაც თან იახლა. ნადირობის დროს მეფე ფიქრებს თავს არ ანებებდა და გულში გადასწყვიტა, დაბრუნდებოდა თუ არა მცხეთაში, ნინო უნდა გაედევნა. ამ დროს ცა ერთბაშათ ღრუბლებმა დაჰფარეს და ისე ჩამოხნელდა, რომ კაცი კაცს ვეღარ ჰხედავდა. მეფემ მხლებლები დაჰკარგა და საშინელ მდგომარეობაში ჩაყარდა. ჩამოხტა ცნენიდან და შეევედრა თავის კერპს, არმაზს, მიშეეღო, მაგრამ კერპი აბა რას უშეეღოდა. ამ განსაცდელში რომ იყო, აკი ნინოს ღმერთი ქრისტე გაახსენდა. ააპყრო ხელები ზეცისაკენ და წარმოთქვა:

— „ნინოს ღმერთო! თუ ამ განსაცდელს გადამარჩენ და გამინათლებ, გიწამებ და მოვინათლებიო“.

ესა თქვა თუ არა, ერთბაშათ განათლდა. გაქარებულმა მეფემ; იბოვა მხლებლები, ყველაფერი უამბო და განაცხადა, უნდა ქრისტე ვიწამოთო. დაანებეს ყველამ ნადირობას თავი და გასწიეს მცხეთისაკენ.

მცხეთელებმა რომ გაიგეს, მეფეს უბედურება შემთხვევია და მშვიდობით გადარჩენილაო, მთელი მცხეთა წინ მიჭვება მისალოცავათ მეფემ ხალხს მადლობა განუცხადა და, მინამ სასახლეში მიბრძანდებოდა, პირ-და-პირ ცხენით ნინოს კარავისაკენ გასწია. ხალ-

ნიც, რასაკვირვლია, თან მასდევდა. მიუხალოვდა თუ არა ნინოს კარავს, გადმოხტა ცხენიდან, შებრძანდა ნინოს კარავში და მოიყარა მუხლი ვაზის ჯვარის წინ. გაკვარვებული ხალხი ცქერათ გადაიქცა. მეფემ გამოუტყადა ნინოს უნდა მოენათლო და ჩემი ხალხიც უნდა მოენათლოვო. ნინო სიხარულით ფეხზე აღარ იდგა. ღმერთს მადლობა შესწირა და ურჩია მეფეს, საჩქაროთ მიწერე წერილი საბერძნეთის მეფეს და თხოვე მღვდელ-მთავარი, ღვდლები და ღვინები გამოგიგზავნოსო.

მეფემ მიიღო ნინოს რჩევა, მისწერა საბერძნეთის მეფეს დიდ კონსტანტინეს მეგობრული წერილი, რომლითაც აცნობა მინდა ქრისტიანობა მივიღო, მღვდელმთავარი და ღვდლები გამომიგზავნეო. დიდ კონსტანტინეს ძრიელ იაპა და დაუყოვნებლივ გამოგზავნა საქართველოში ეპისკოპოზი ესტატე, ღვდლები და ღვინები. მანამ ისინი მოვიდოდნენ, წმიდა ნინო ხალხს უქადაგებდა და ამზადებდა მოსანათლავათ. როცა მოვიდნენ, პირველათ მეფე მირიანი, მისი სახლობა და დიდებულნი მოინათლენ სასახლეში.

შემდეგ ამისა მეფემ გასცა ბრძანება, რომ ხალხი შეკრებილიყო მცხეთაში. დიდ ძალი ხალხი შეიკრება დანიშნულ დროზე მცხეთაში. გაქრისტიანებულმა მეფემ ურჩია თავის ხალხს მონათლულიყვენ. ხალხმა სურვილი გამოაცხადა. დანიშნეს დღე როცა ხალხი უნდა მონათლულიყო. შეენიერ სანახავს წარმოადგენდნენ იმ დღეს მტკერის ნაპარები მცხეთასთან: აუარებელ ხალხს მოეყარა თავი; დიდები წყალში ჩასულიყვენ და პატარები ხელში ეჭირათ. ღვდლები ასრულებდნენ ნათლისღების საიდუმლოს ბერძნულ ენაზე და მირონს ცხებდნენ ხალხს. ეს შესანიშნავი აებავი მოხდა, როგორც ამბობენ, 323 წელს ქრისტეს შობას შეჰდევ.


ამას შემდეგ კიდე დიდ ხანს იქადაგა წმიდა ნინომ; მოიარა თითქმის მთელი საქართველო და გააქრისტიანა ხალხი. ბოლოს კახეთში წავიდა, იქ დიდ ხანს დარჩა ბოჯბისის ქალაქში და კახელებიც მოაქცია. მირიან მეფეს სურდა, წმიდა ნინო მცხეთაში და-

ბრუნებულიყო, მაგრამ ნინომ ისე მოიწონა კახეთა და მისი მდიდარი ბუნება, რომ არ უნდოდა მოშორებოდა.

ჰმჰ წელში ნინომ იგრძნო სიკვდილის მოახლოება და მისწერა მეფე მირიანს, მოსულიყო თავის ცოლ-შვილით გამოსათხოვრათ. მირიანს ვაჟი გაეშურა ბოდბისში და ცოცხალს მიუტოვა წმიდა ნინოს. მირიანი შეეხებოდა ნინოს მიეცა ნება სიკვდილის შემდეგ მანც წავსვენებოდა მისი წმიდა გვამი მცხეთაში, მაგრამ ნინომ არ ისურვა. მანც კიდევ მეფემ მოინდომა გადაცვალებას შემდეგ მისი გვამის წამოსვენება მცხეთაში, მაგრამ, როგორც ამბობენ, ეგრას გზით ვერ დაძვეს, თურმე, მისი კუბო ადგილიდან. ამიტომ წმიდა ნინო მიაბარეს საფლავს ბოდბისში, და მეფემ იმ ადგილს პატარა საყდარი ააშენა. ეს საყდარი დღესაც არსებობს, და ნინოს უხრწნელი გვამიც იმაში ასვენია შეენიერ მარმარილოს კუბოში.

წმიდა ნინოს ვაჟის ჯვარი ახლაც სიონის ტაძარში ასვენია და ყოველ წელიწადს, 14 იანვარს, როცა ნინოს დღეობაა, გამოასვენებენ ხოლმე, რომ ხალხი ემთხვიოს.

გ. წყალტუბელი.



## უ მ გ ი ს ხ ე .



ცეი ზამთარი იყო. თეთრი ფუნთუშითოვლი ბურტყლივით მოსდებოდა ტყესა და ველს და დაძენილ ბამბასავით გადაჰკროდა ჯაგნარებს და ნორჩ ხეებს. მაღალი ხის კენწეროები უძრავათ იდგენ და თვლემდენ. ყველაფერს „თითქო ღრმა ძილით ჩასძინებოდა და ხშირსა ტყესა, ჩადრ წამოსხმულსა, სახე სრულიად გაშეშებოდა“!..

ერთ დაბურულ ტყის პირას წამოყელყელავებულიყო ორი პატარა ნაძვის ხე. უფროსი იმათგანი ჯერ 20 წლისა არც კი იქნებოდა. იმისი მოხდენილი ტანი ლერწამივით ამართულიყო და ამაყათ გამოიციკირებოდა. ის ხედავდა თავის სიშენიერეს და მით ამაყობდა! უმცროსი და კიდევ უფრო მოხდენილი ტანადი იყო. იმისი შოლტივით ტანი ნაზათ ირხეოდა, თითქო ტანში გადამტვრევას აპირებდა, როცა ცელქი ნიავი წამოუქროლებდა, წერწეტ ტანს შემოეხვეოდა და ერთ წამს ჩაეხუტებოდა! ხმლის მსგავსი მათი მოხრილი ტოტები ძირს თან და თან გაშლილიყვენ, გაგანიერებულოყვენ, ზევით—თან და თან შევიწროებულოყვენ. ხოლო კენწეროში



ამართული იმათი თითო ობოლი მწვანე ღერო თითქო ზეცას ეპო-  
ტინებოდა.

— რა კარგი რამ ხარ, დაიკო! რა ლამაზი ხარ! შენ ტოტებს  
რომ თოვლის ფიფქში გაელილი მზის სხივები ეთამაშებიან, ისე  
ბრწყინვალეობ, ისე ელფარებ და გამოჰკრთი ამ სხივებ ქვეშ, რომ  
სწორეთ თამარ დედოფალს ემსგავსებო! — ალერსით უთხრა უფრო-  
სმა დამ თავის უმცროს დას.

— მე ვგრძნობ, ჩემო დაია, რომ ბედი რაღაც საუცხოვო ბე-  
დნიერებას მიმზადებს, — მიუმო უნცროსმა დამ: „სწორე გითხრა,  
მომბეზრდა როგორღაც აქ, ამ ტყეში ყოფნა, სადაც ყველაფერი  
ასე ერთ გვარი, ერთ ფერი და მოსაწყენია! ზამთრობით ბუქისა და  
ქარიშხალის ღმუფილისა და ზუზუნის მეტი არა გემისრა, ზაფხუ-  
ლობით არის და ქუხილის ხმა, მეჩის მუქარა გაშინებს, თავ ზარსა  
გცემს და ამასთან ფრინველების წივილ-ჩხვილიც თავს გაბეზრებს..  
ეს ბებრეკი ნაძვები ჭ ფიჭვები ხომ მუღამ ბუსხუნობენ: ან ერთ-  
მანეთს ეჩხუბებიან ან ჩვენ გვიჯავრდებიან, გვემუქრებიან, ამაყათ  
თავს დაგვეტყვიან და გვიჩაგრვენ!.. ხმა ვერავისთვის გაგიცია და არ  
იცი ვის რა უთხრა!. აბა რასა ვხედავთ კარგს ამ მიყრუებულ ტყე-  
ში!... ოჰ, ნეტავი იმ ხეს, რომელსაც უღირსი ბედი სწვევია!.. ჩემი  
ტოლი ნაძვის ხე ზოგჯერ გააქვთ თურმე ტყიდან და, შენი სიტ-  
ყვისა არ იყვეს, სწორეთ თამარ დედოფალთ ხდიან: მორთავენ, მო-  
ლამაზებენ, თავზე ოქროს გვირგვინს დაადგმენ, ტოტებზე ფერად-ფე-  
რად ზიზილ-პიპილებს და ძვირფას ნივთებს ჩამოაკონწიალებენ და  
ყველა ამას ფერადის სანთლებით ანათებენ, თურმე, რომ შეხედო —  
ლაპლაპი გააქვს, საყვარლათ ბდღვრიალებს, სუ თვალებს გკრის!..  
აბა ამას ჰქვია დიდება და ბედნიერება! რა დასადარებელია, შენ გე-  
ნაცვალოს ჩემი თავი, ჩვენი საცოდავი მორთულობა და ზედ და-  
ყრილი თოვლის ფიფქი, ან რთვილის ბრჭყვიალი?!. რომ იმ ბედ-  
ნიერებამდის მიადწიო, მეტის მეტი ლამაზი ნაძვი უნდა იყვე თურმე  
და ამისთანა ხომ ათში ერთიც ძლივს გამოერევა!.. მე კი, როგორ-

ლაც, მგონია, უნდა გავხდე იმ ბედისა და ენახოთ, ღმერთი რას ინებებს!... ახ, ნეტავი არ იქნება, შენი სიცოცხლით, მეც მართლა ჩაეარდე იმისთანა ბრწყინვალე ბედნიერებაში!...

— მართალს ამბობ, ჩემო სიცოცხლე, მაგრამ იცი, რომ ყველა ამ შენგან აწერილ შევნიერებასა და ფუფუნებას სიკვდილი მოსდევს? — მიუყო უფროსმა დამ.

— რა ეუყოთ მერე! სამაგიეროთ ჩემი მოკლე სიცოცხლე ყველაფრით სრული, მხიარული იქნება! მე ვიქნები ბედნიერი!..

— ჰმმ! აკი სულელი ჰყოფილხარ, ჩემო დაიკო და არ ვიცოდი! აბა, მი მოიხედე, რა შევნიერებაა ჩენს გარეშემო! დააკვირდა ჩვენ ტყეს და დაინახავ, რომ ის სრულიადაც არ არის ისე ერთფერი, ერთგვარი და მოსაწყენი, როგორც შენა გგონია! გაზაფხულზე ის იმოსება ახალი, მწვანე ტანისამოსით; მის ფეხქვეშ იშლება ხავერდივით მწვანე ხალიჩა, სხვა და სხვა ყვავილებით აჭრელებული. ცხოველი მზე ჰგენს მას მაღლიდან გამაცოცხლებელ სითბოს; ფრინველები მხიარულათ უმღერაან მას, დასჭიკჭიკებენ, დაჰხარაან! ზამთარშიაც რა უშავს ჩვენ ტყეს!.. ჩვენ ახლაც ამწვანებული ვართ, ახლაც ნორჩი შეხედულობა გვაქვს, თოვლის ფიქვითა და ყინულის ბროლით მორთული, დაშენებული! აბა დაიხედე ჩვენ ქვეშ რამდენი პაწაწინა ნაძვისა და ფიჭვის ბაყილოები! ყველა ისინი დაიზდებიან, ლამაზ ხეებათ გახდებიან. იმ დროს ჩვენ სულ სხვა ვიქნებით: დიდი ღონიერი და შემძლებელი ხეები! ტყვილა დასცინი და ემღერო იმ დიდ ხეებს, რათ გვიჯავრდებიანო! იცი, იმათ რა სიკეთე მოაქვსთ ჩვენთვის! ისინი გვიფარავენ ქარ-შხლისაგან, რომლისთვისაც მიუშვერიათ ზურგი და თავი! იმათი ტლანქა, მსხვილი ტანი დარაჯებივით გვიდგანან გარეშემო! იმათი ბურძღლები, რომლებიც ათასობით ცვივა ჩვენ ფეხთ ქვეშე, სინოყიერეს აძლევენ, ჰკვებავენ ჩვენ ნორჩ ფესვებს. ჩვენ თუ ასე ლამაზი, მოხდენილი ტანისა ვართ ეს იმითი წყალობით: ისინი გვიწვევენ მფარველობას, გვინახავენ, გვიფხილდებიან; იმათი მეო-

ხებით ქარიშხალი ვერა გეწედება, რომ ლამაზი ტოტები და ქო-  
ჩორი დაგვაგლიჯოს და წელში გაგეზნიქოს!... არა, ჩემო სიცოცხლე,  
მე იმათი მადლობელი ვარ და პატივის მცემელი! ღმერთსა ვთხოვ  
აქ შობილი აქ გამხარდოს და იმათთანა გამხადოს! მე არ მოვიწ-  
დომებ მოვშორდე ჩვენ შეენიერ ტყეს. ჩემი სიცოცხლე აქ არის,  
ჩემი სინჯული ამ ტყეშია და რაც უნდა პატივი მცენ აღამიანებმა,  
არ გავცვლი ჩემ აქაურ დაწყნარებულ, მშვიდობიან ცხოვრებას  
იმათთან ბედნიერებაში!

„არ გავცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა,  
არ გავცვლი მე ჩემ სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა“!..

თოვლისგან ღრმით წანამქრული ტყის გზა ძლიესლა ეტყობოდა.  
ამ გზაზე გამოჩნდა მარხილი; ზედ დამსხდარიყვენ გლეხიკაცი და  
იმისი პატარა ვაჟიშვილი, ორივე ტყაპუქებში თბილათ გახევეულები.  
— დაიცა, დაიცა, მამა! აი, 'შენე, 'შენე! დაუყვირა შეიღმა მამას  
და მიუთითა ჩვენ ნაცნობ ნაძვებზე.

მამამ შეაჩერა ხარები, ჩამოხტა მარხილიდან, გაიბერტყა ტყავი  
და დაეკითხა შეიღს: „აბა როგელი, შეიღო, აქ ორი ძირი დგას“?  
— აის, მამა რომელიც პატარაა! შენე, შენე რა კონტა და მოხ-  
დენილი ტანისა!

გლეხმა გადმოიღო ხერხი, მივიდა ნაძვთან და დაადგა ძირში  
ხერხი. ნაზ კანს რომ რკინის იარაღი შეეხო, ნაძვის ხე შეკრთა და  
კანკალი დაიწყო. როცა იარაღმა ბასრი კბილები გაავლო, ერთი  
გულსაკლავი კენესა მოისმა: საშინელი ტკივილი იგრძნო ნაძვმა!..  
გლეხმა ახლა ნაჯახს მიმართა, რადგანაც ხერხმა ნელს ხეში თავი-  
სუფთალი გზა ვერ იპოვა, მოუქნია და ერთი ღონიერათ დათხლიშა!  
ნაძვის ხემ თრთოლა დაიწყო, გული შეეუღონდა, თვალთ დაუ-  
ბნელდა და გონება მიხდილი დაეშვა თეთრ ცივ დედამიწაზე!..

გლეხმა თავის შეიღის შემწეობით დაუდო მარხილზე ნაძვის  
ხე, გამოაბრუნა მარხალი და გამოვიდა ტყიდან.

უძრავათ იდგა მარხილზე ნაძვის ხე და ცოტ-ცოტათი გონს მოდიოდა. იმისი წენიკი კენწერო და ტოტები კანკალებდნ და აქეთ-იქით აწყდებოდნ!..

ტყეში დარჩენილი უფროსი და—ნაძვის ხე დალონებული იდგა, გასცქეროდა მიმავალ თავის დას და სამუდამოთ გამოთხოვების ნიშნათ მწუხარეთ აქნევდა თავის მწვანე წვეროს!..

—

პატარა მიტა ავით არის. აგერ ორი კვირაა, რაც ის ლოგინსა ლესავს და სიცხისაგან ბაბანებს. აი შობაც მოახლოვდა, მაგრამ მიტას უკეთესობა არ ეტყობოდა. სიცხისაგან ლოყებ დაკვერებული, სისუსტისაგან თვალეხ დახუჭული, იწვა მიტა ლოგინში თავით უჯდა დედა და ცივ ხელს მალ-მალ შუბლზე ადებდა თავის საყვარელ შვილს.

—დედილო!, აქ მო, ჩემთან!.. მოიტა, ძუძუებში ხელი ჩაგიყო!.. დედა!..

—აქა ვარ შენ გენაცვალოს დედა შენი.

—დედა! ზარის ხმა მესმის! ზარს უკრავენ, არა?!

—ჰო, შვილი, ზარს უკრავენ! ხვალ ბედნიერი დღეა, შვილო.

—ბედნიერი დღე?! რა ბედნიერი დღეა, დედილო?!

—შობაა, გენაცვალოს, შვილო, შენი მშობელი!

—შობა, შობა ქრისტესი!.. მართლა, შობის ხე არ გვექნება, დედა, შარშანდელივით!

—როგორ არა, შენ გენაცვალე! გვექნება, შვილო!

—მეც ხომ მაჩნენებ, დედა, ნაძვის ხეს?

—როგორ არა, შვილო! მაშ მე რათ მინდა უშენოთ?

—განა ხვალ ავდგები, დედილო?

—იქნება ადგე, შენი ჭირიმე! კარგათ გამოუფებს შობის მადლი!

—იცი, დედილო! თუ ვერ ავდგე, აქ შემოიბრუნეთ შობის ხე, ან მე გამიყვანეთ იმ ოთახში, სადაც იმას დადგამთ!

—ჰო, შენ თავს შემოგველე! ჰო, შენ ენას ვენაცვალე!

—ამალამ მორთავენ შობის ხეს! ხვალ ბავშვბა მოვლენ!.. ითა-  
 მაშებენ... ისტუნაეებენ! გაიხარებენ! რამდენ სათამაშოებსა და კამ-  
 ფეტებს ჩამოგლეჯენ!.. ახლა მე რომ ვერ ვითამაშებ? ვერც ავდგე-  
 ბი, რომ ჩემი ხელით რაიმე ჩამოვგლიჯო? კარგი ხე იქნება, ნეტავი?  
 ტიტენებდა მიტკა და ამ ტიტინში დალალოს ჩაეძინა.

მოჭრილი ნაძვი მიიტანეს სახლში. ის დაამაგრეს ჯვარედინათ  
 გაკეთებულ ხის ფეხებზე და დადგეს დარბაზში. მთელი დღე მოან-  
 დომეს იმის მორთვას და მოლამაზებას. წითელ-ყვითელი ვარაყიანი  
 ქალიღებები გინდა, ფერად-ჟერადა ლიფლაფები გინდა, ოქროსი და  
 ვერცხლის ქლარუნება, სხვა-და-სხვა ნაირი კამფეტები და სათამა-  
 შოები, პატარა ლამაზი წიგნაკები, რვეულები, ყარანდაშები, საწერ-  
 ლები, დანები, ბურთები, —სულ ზედ იყო აჩონჩხილილი!..

—რა მებრალეა ჩემი დები, რომ ახლა აქ არ არიან და ვერა-  
 ჰხედვენ ჩემ სიკეკლუტეს, ჩემ მორთულობას! ამბობდა ნაძვის ხე:-  
 „საცოდავები! ატუზულან მიყრუებულ ტყეში და უზუზუნებს ქარიშ-  
 ხალი, აყრის თავ-პირში თოვლ-ბუქსა და კორიანტელსა!

დალამდა და აანთეს ნაძვის ხეზე სანთლები. საამოთ ბღღრიალ-  
 ლებდა ათას ფერი ლიფლიფები. აი გაიღო კარები და შემოცვივ-  
 დენ სადღესასწაულოთ მორთული ბავშვები, ქალები თუ ვაჟები. იმათ  
 მხიარულებას, ყვილ-ხივილს დიდმა დარბაზმა ბანი მი'ცა. ჩიტე-  
 ბივით დაეხვიენ ნაძვის ხეს და სიხარულით შესცქეროდნენ ათას ნაირ  
 ნიეთეულობას, როგორც ტკბილ ნაყოფს!


—რა ლამაზი ვარ! რა შეენიერი ვარ! ყველა მე არ შემომხა-  
 რის! სწორეთ თამარ დედოფალი ვარ! რა სიამოვნებასა ვგერი ამ-  
 დენ ხალხს მარტო იმითი, რომ მე შემომცქერიან! ჰფიქრობდა ბავ-  
 შების სიხარულით გაოცებული ნაძვის ხე და ამაყათ არხევდა ჯერ  
 კიდევ ნედლ ტოტებსა და იწწეროს, რომელზედაც შეენოდა ლა-  
 მაზი ქალაღდის გვირგვინი! უცბათ ნაძვის ხემ თვალი მოჰკრა, რომ  
 ოთახში შემოიყვანეს ავათმყოფი ბავში... სანთლების ბღღრიალმა

და ბავშვების ყვირლ-ხვილმა გამოაფხიზლეს, უკეთ განადეს ავთ-  
 მყოფი. ის განუსაზღვრელ სიხარულს მიეცა და წაეტოტინა ნაძვს,  
 ზედ ასხმულ ნიეთებს... ეს იყო ჩენი მიტა... ნაძვის ხეს უხაროდა,  
 რომ ავთმყოფს ასიამოვნებდა! ის იხრებოდა ძირს და უსრულებდა  
 იმას ყოველივე წადილს.

კარგა ხანმა განვლო. სანთლები თანდათან იწოდა, ჰქრებოდა..  
 მიტო მოიქანცა და თვალები მილულა. სათამაშოები ზოგი ხელში,  
 ზოგი ილღიაში ეჭირა. სხვა ბავშვებიც საჩუქრებით განარებული  
 დაიშალენ, წავიდ-წამოვიდენ. ყველაფერი შემოფტკენეს ნაძვის  
 ხეს, სანთლებიც ჩაქკრა. მხოლოთ გვირგვინი ლა ედგა თავზე და  
 აქა იქ ფერადი ქაღალღები ბჭყერიალებდენ.

ნაძვის ხე მიდგეს დარბაზის კუთხეში და მარტოთ მარტო დას-  
 ტოვეს... ყველასაგან თავმინებებული ნაძვის ხე მიეცა ფიქრებს. ის  
 ფიქრობდა თავის სამშობლო ტყეზე, ფრინველებზე, რომელთაც  
 იმის ტოტებზე არა ერთხელ სძინებიათ ტკბილათ, ბრწყინვალე დღე-  
 სასწაულზე, ლამაზ მორთულობაზე: და პატარა ავთმყოფ მიტოზე  
 რომელიც სიამოვნებამ კარგათ განადა.. ის გრძნობდა, რომ პატივი  
 ეყრებოდა, ბოლო ეღებოდა, კედებოდა და მწარეთ დაღონდა, შე-  
 წუხდა!. იმას დანანდა თავისი სამშობლო ტყე, იქ დატოვებული  
 და, თავისი ნორჩი თავი, უდროვოთ დაკარგული სიცოცხლე!... მაგ-  
 რამ აქ იმას მოაგონდა ბავშვების მხიარული სახე, იმათი სიცილი,  
 ღიდრონების ღიმილი და პატარა ავთმყოფი მიტრას განუსაზღვრელი  
 სიხარული. და ამასობაში ჩათელიმა კიდევ!... მეორე დღეს ნაძვის  
 ხე გაათრის კარზე და სახლის უკან, სადღაც თოვლში გადააგდეს.

თ. კანდელაკი.



## საკვირველებანი ბუნებისა.

10

„ხელითაფას“ (Timosa)



რის ცხელ ქვეყნებში ერთი მოდ-  
კმის მცენარეები და სახელათ ვეულა  
იმათ მიმოზა ეწოდებათ.


კაცმა რომ ხელი შეახოს ერთ-  
ერთ მის ფოთოლს, მცენარე იწ-  
უებს თრთოლვას, ძლეულვარებას: ფო-  
თლები ესურება, შტოები ეხრება,  
ძთლათ დამჟკნარს, გულწასულს ემ-

ზგავსება. ახლოს რომ ცხენს მიაჟკნებდენ, მიმოზას იმის  
ფეხის ხმაზე შიშით გული უსკდება, თავბრუ ესძმის.

აბა საკვირველება ამასა ჰქვიან. წარმოიდგინეთ, მცე-  
ნარე ჰკრძნობს შესებას, მცენარე ჰკრძნობს ხმაურო-  
ბას, ჰკრძნობს სიცხე-სიცივეს... მცენარესა აქვს, თურმე  
გრძნობა. გრძნობა აქვს ისეთივე, როგორც ცხოველს.

მაგრამ, უკაცრავათ, იქნებ ეს არც ისეთი გრძნობა  
იუოს, როგორც ცხოველებსა აქვთ,—ეს არც ჩვენ ვიცით  
სინამდვილით. დღემდე მეცნიერები ვერ მიმხვდარან ამ უბ-  
რალო ბაღახების უცნაურ თვისებას. უეურებენ ისინიც და  
უკვირთ, უკვირთ და ვერ აუხსნიათ ეს მოვლენა.

ამ მცენარეთა მოდგმას ეკუთვნის ხელიფაფას. ხელი-  
 ფაფასიც ბალახივით მცენარება; მოდის  
 ამერიკის ქვეყანაში. ფოთოლი იცის  
 რთული: თითო ფოთლის ეუნწს ოთ-  
 ხი შტო აქვს და თითო შტოს 15—20  
 წვეილი ფოთოლი აბია. სანახაობით  
 ძალიან ლამაზია.



ხელიფაფას

საშინელი მგრძნობიარება, მეტის-  
 მეტი ნებიერი. ეველაფერი უკვირს, ევე-  
 ლაფერს ერიდება; მცირე რამდენა ეშინია,  
 ცუდ უბრალოზე სწუხს და შფოთავს.

ოდნავე რომ ხელი შეასო ერთ-ერთ მის ფოთოლს, ის  
 იმავე წამს აიკრებს ეველა ფოთლებს და მიაწეობს ერთს  
 მეორეზე, თითქოს ჰსურს აიცილოს თავიდან რაღაც უსი-  
 ამოვნო რამ ამბავიო. მერე ერობაშთ დაიხრება თვით  
 შტოც და დაეშვება ძირს, როგორც სრულიად დამჰკნარი,  
 როგორც გამხმარი ტოტი და თუ ახლა სსვა  
 შტოებს შეახე ხელი, ისინიც ისე დაეშ-  
 ვებიან, რომ მთელი მცენარე სრულებით  
 გამხმარი, სრულებით უსიცოცხლო გეგო-  
 ნება.



მაგრამ გაივლის ერთი წამი და, თუ  
 თქვენ აღარას უშავეით, გადუვლის იმასაც  
 შიში, დამშვიდდება; ასწევს ძაღლა შტოებს,  
 გაჰშლის ფოთლებს და კვალად სიცოცხლე შეეცეობა.

## „გამარჯობა“ (gueribar)

ეს მცენარე იცის აფრიკაში. იქაურ მცხოვრებლებს, ზანგებს, <sup>1)</sup> დაურქმევიათ მისთვის სახელათ gueribar, რაცა ჰნიშნავს ჩვენებურათ გამარჯობას და, მოდი, ჩვენც ნუ გამოვუცვლით ამ სახელს, დაგუძახოთ ჩვენც მას გამარჯობა.

ეს მცენარეც მიმოზას მოდგმას ეკუთვნის, მსოფლიო ცოტაოდნათ განსხვავდება ხელითაფასაცან.

თუ ამას ხელი შეახო კაცმა ანუ დახარა მისკენ თავი და თანაც სიტყვა რამ წაილაპარაკა, ისიც დაჰსრის იმავე წამს ზროს <sup>2)</sup> და მიატრიალებს იქითკენ ფოთლებს, თითქოს ჰსურს იმასაც, მისცეს ჰასუსი კაცის მისაღმებლად. სწორეთ ისე ჰსრის ზროს და ისე ჰშლის ფოთლებს, რომ გეგონება, --- ნამდვილათ ქუდს გვიხდის, თავს გვიკრავს და გამარჯობას გვეუბნება.

ასეთი ზრდილობიანობა მცენარისაგან, თქვენც დაბეთანხმებით, ფრიად საკვირველი ამბავია. საკვირველათ სჩვენებიათ ეს მოვლენა აგრეთვე თვით იმ ქვეყნის ზანგებსაც და ამის ასახსნელათ შემდეგი ამბავი გამოუგონიათ.

ერთხელ როდისღაც, ერთ ბრწყინვალე დღეს მათი

1) ზანგი ჰქვიათ აფრიკელ შავ ხალხს.

2) ზროს ჰქვიათ პალსის ღეროს.



ძლიერთა უძლიერესი მეფე Avoè ათვალიერებდა ომიდან წამოუვანილ ტუვეებს. იმ დროს ის ტუვეები ისე იუვნენ ჯახვრით გაბორბოტებულები, რომ სალამი არ აღირსეს ძლევა მოსილ მეფეს, როდესაც წარსდგნენ წინაშე Avoè-სი.

მეფე განრისხდა ამაზე და თავების დაურეკინების მაკიერ, გაიმძრო ხმალი და ხმლის წვერით შეეხო იმ ტუვეებს. ტუვეები დაუყოვნებლივ გარდიქცნენ მცენარეებათ და მას შემდეგაა, რომ ის მცენარეები უველას და უოველთვის თავს უკვრენ და სალამს აძლევენო.

და გულ-კეთილი ხანგი დღესაც იმ აზრისაა, რომ თუ ვინმე მოსჭრის ან მოსტეხავს გამარჯობას, ის მით ჭკლავს ცოცხალ, არსებას, სწობს ნამდვილ სიცოცხლესო.

ახლა, როდესაც ჩვენ გავიცანით უველასე სრდილობიანი, უველასე ალერსიანი მცენარე, ჩვენც მოვექცეთ მას ალერსიანათ, ჩვენც დაუუკრათ მას თავი და ვუთხრათ გამარჯობა, გამარჯობა.


ლადო აღნიაშვილი.





უ ქ ნ ა რ ა.

◦ გ ა ვ ◦



ყო ერთი უქნარა, ფრიად ზარმაცი და ამიტომ საშინლათ გაღარბებული, გაღატაკებული კაცი. თავის დღეში შრომა ფიქრათ არ მოსვლია და მუდამ-კი ბედს უჩიოდ: „როდემდის უნდა ვიყო ასე დამძეული და გაჭირვებული, ან რა გზით ვუშველო ჩემ სიცოცხლეს და ასეთ სიღარბებს თავი როგორ უნდა დავაღწიო?“

ერთხელ, ასეთ ფიქრებს შემდეგ, ეს კაცი გამოვიდა თავის სახლიდან და დაძმარებული, სევდიანი, თავ-ჩაკიდებული გაუდგა სოფლიდან მიმავალ გზას დარდის კანკარებულათ.

მცირე მანძილი რომ გაიარა, ქისა იზოვა; ქისაში ათი თუძანი ფული აღმოჩნდა. რასაკვირველია, მის სიზარულს სახლვარი არა ჰქონდა; მეტათ ნასიამოვნები გამობრუნდა სახლისკენ და თან ჰფიქრობდა: „მე რომ ამ ჟამათ თავ-ჩადუნულს არ მევლო, დაბლა მიწისკენ არ მე-

ცქირს, ხომ ვერც ქისას დავინახავდი და ასეთ ბედნიერებასაც ვერ ვეღირსებოდი“, თქვა ეს ღა გადასწევითა: „ცხოვრების შემენისთვის მხოლოდ დაბლა მიწისკენ ცქირს ეოფილა საჭირო და ამიერიდან არაოდეს ძაღლა აღარ ავიხედავ, მუდამ ძირს მექნება მიჩერებული თვალიო“.

მართლაც ამ დღიდან ამ კაცს ზევით აღარ აუხედნია: სულ ცხვირ-წინ დაიცქირებოდა და თვალებში ფულის ქისა ელანდებოდა. ძაგრამ ამ ბედგრულს ანგარიში ძაღუ გაუცრუვდა: ერთხელ, ჩვეულებისამებრ თავ დასრილი და ქისის ძადით გატაცებული, ერთ ვიწრო ორღობეში მიდიოდა; მის ჰირდაჰირ ერთი კაცი საძინელი გამოძეტებით ცხენს მოაჭენებდა; ქისის მამიებელმა ეს ვერ შენიშნა და ვერ მოეჩივრა; მხედარმაც, რადგან სისწრაფის გამო ცხენი დროზე ვერ შეიკავა, ისე დაჯახსა იგი ჰირველს, რომ ეს საბრალო მსწრაფლ გაიმხლართა მიწასე და სიტყვის თქმაც ვეღარ მოასწრო, ისე განუტევა სული.

ალ. მ — შვილი.



ხ ა ლ ხ უ რ ი

(გაგონილი მია ახოპაძის ქალისაგან; ჩაწერილი ლადო იაშვილისაგან).

იანვარი მობძანდება  
ახალწელიწად დღესაო!..  
მასპინძელს კარგათ იამა,  
სტუმარსაც მოუღებენსაო  
ძველს ანგარიშებს აბარებს  
იმ ქრისტეშობის თვესაო;  
ქორანიკონს განუცხადებს  
მწიგნობარსა და მღვდელსაო.  
ნათოულებს დაიპატიჟებს  
იმ ნათლილება დღესაო.  
ეპისკოპოზებს შემოსავს,  
ყველგან წყალს აკურთხებსაო.  
მოვა და სადილს მიირთმევს,  
ნათოულებს მოუღებენსაო.  
ჩვენთან ვერაინ ვერ მოვა;  
ტყუილა რათ იბახს ხელსაო.

ა ნ დ ა ზ ე ბ ი .


(ჩაწერილი ლადო იაშვილისაგან)

სახლს რომ ბევრი კარები გაუკეთდება — ბევრი  
ქარი შევა.

ასეთი არის სიბერე სიბ ქვასა შეედარება —  
რაც უნდ კარგი სთქვას მოხუცმა — ყმაწვილს  
არ მოეწონება.

(ჩაწერილი ვანო ლალიაშვილისაგან)

კაცო ნუ გიკვირის სიმდიდრე:  
სიმდიდრე სიზმარიაო.



## გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი.

(წარმოდგენილი თეოფ. კანდელაკისაგან).

ბაღში რა არის ის ხილი, არ ედარება ხილებსა;  
 თავსა დიდსა გაიკეთებს, ფესვებს გაიდგამს წვრილებსა;  
 ასეთს ტოტებს გამოიხსამს, თავის თავს არ აჩრდილებსა,  
 შეეღენ ყმანი და მოჰგლეჯენ, დედა დაუშლის შეილებსა,  
 არ დაიშლიან მოჰგლეჯენ, დასწევს კბილებს და ღრძილებსა,  
 ამ გვარი ისე მწარეა, საჭმელებს კი ატკბილებსა.

(წარმოდგენილი ვ ნუე მესხი კ. გვარამაძისაგან).

ხალი არ არის რქები აქვს, ეირი არ არის კურტანი..  
 ხორცი აქვს და ძვალი არა, თეთრი ბროლივით აქვს ტანი.

## ჩქარა გამოსათქმელი.

(წარმოდგენილი პ. მესხ. საგან).

ცას მოუწმენდია, მოუსკამირ — სკამურებია, მეოას ხარები შეუ-  
 ბამს, ჩაუსახნის — უღელ — ტაბიკ — აპეურებია, როგორც ჩაუსახნის —  
 უღელ — ტაბიკ — აპეურებია, ისე ამოუსახნის — უღელ — ტაბიკ — აპეუ-  
 რებია.

## ა კ რ ო ს ტ ი ხ ი.

(წარმოდგენილი ი. ლ — ქესაგან).

თავ განწირვითა მთიელთა,  
 ურიცხვ მტერი უდენიათ;  
 შეერთებითა ქართველთან,  
 ფარ ხმალი უქლერებიათ.

შიშვლათ სქერიათ ხმალ-თოფი,  
ათასი მტერი უხოცაეთ,  
ვითა ქართველთა, ამათაც  
ხალხთ მხსნელი დროშა ულოცაეთ.  
ესრეთ ერთგულათ, ძლიერათ  
ვალი მამულის უხდიათ,  
სამშობლოს გამოხსნისათვის,  
ურიცხეთ თვის სისხლი უღერიათ.  
რაკი იხილეს ნათელი,  
ნისლი მთებს გადაეცალათ,  
იწყეს კვლავ მყუდრო ცხოვრება  
ამაყი გული ეცვალათ.

უჯრების ამოცანა.

(წარმოდგენილი იოსებ ტატიშვილისაგან).


ამ უჯრებში ჩასვით შემდეგი ასოები ისე,  
რომ გამოვიდეს, რომელიმე ქართული ან-  
დაზა.— ა, კ, ლ, რ, ც, ი, ბ, ი, ი, ს, ლ,  
კ, უ, ა, მ, გ, მ, ე, ი, ლ, რ, ა, ი, ე, ა.

შ ა რ ა დ ა.



(წარმოდგენილი ქიქვიოსაგან).

ერთია ღამის ფრინველი, მეორე მუშა სოფლისა,—  
ვისთანაც გღენი— მუშაკი მუდამ მღერელია ოფლისა;  
ერთათ დასწერეთ— იქნება სხლის საჭირო საგანი,  
რომ ვერ გამოხსნოს მისთანა განა არს ვინმე თქვენგანი?



რ ე ბ უ ს ი

(წარმოდგენილი გრიგოლ ტავთიშვილისაგან).



№ XI გამოცანებისა.

ზმეები: ნიკო ბარათაშვილი, აკაკი,

ანაგრამა: მთა — თმა.

ეპიტეზისი: მიყვარს ბიჭი მე პატარა, თუ რომ არის მეტათ კარგი; დედაც უყვარს, მამაც უყვარს, სწავლაშია იგი მარდი.

რებუსი: ბრუციან ხარს ყველა ხნული თავის ნამუშევარი ჰგონია.

ზმები, ანაგრამა, ეპიტეზისი და რებუსი ახსნა თფილისში: გიორგი ნანობაშვილმა. რებუსი და ანაგრამა გორში: ვანო ლალიაშვილმა. მარტო რებუსი თფილისში საშა ციციშვილმა და გორში გორის პროგიმნაზიის მოსწავლე ქალებმა: ნინა საბაშვილმა და მარიამ მაკალათიამ.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თუმანიშვილი-წერეთლისა.

# ივერია

გამოვა 1898 წელსაც

იმავე პროზრაჰით, როგორც წინათ.

ფასი გასეთისა:

12 თვით . . . . . 10 მ. — კ.	6 თვით . . . . . 6 მ. — კ.
11 " . . . . . 9 " 50 "	5 " . . . . . 5 " 50 "
10 " . . . . . 8 " 75 "	4 " . . . . . 4 " 75 "
9 " . . . . . 8 " — "	3 " . . . . . 3 " 50 "
8 " . . . . . 7 " 25 "	2 " . . . . . 2 " 75 "
7 " . . . . . 6 " 50 "	1 " . . . . . 1 " 50 "

საზღვარ-გარეთ დაბარებული ელირება 17 მან.  
მთელი წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“  
მთელი წლით დაეთმობა 8 მან.

ფასი განცხადებისა:

მეოთხე კვარტალზე თითო-ჯერ სტრქიქონი — 8 კაპ.,  
პირველზე — 16 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება


„ქართუელთა შორის წება-კითხვის გამავრც. საზოგა-  
დებოს“ კანცელარიაში, სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგი ადრესით:

**ТИФЛИСЬ.** Редакция „ИВЕРΙΑ“.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.



ОТКРЫТА ПОДПИСКА НА  
**„НОВОЕ ОБОЗРѢНІЕ“**

на 1898 годъ.

(пятнадцатый годъ изданія).

У С Л О В І Я П О Д П И С К И

съ доставкой и пересылкой:

На 12 мѣсяцевъ	10 р. — к.	На 2 мѣсяца.	2 р. 75 к.
„ 6 „ . . .	6 „ — „	н 1 „ . . .	1 „ 50 „
„ 3 „ . . .	3 „ 50 „		

Заграницу на годъ 17 р., на полгода 9 р., на три мѣсяца 5 р.

Подписка принимается не иначе, какъ считая съ 1-го числа любого мѣсяца.

Для сельскихъ учителей льгота: подписная пѣна на годъ — 7 р., полгода — 4 р.

Для годовыхъ подписчиковъ какъ городскихъ, такъ и иногородныхъ, обращающихся непосредственно въ контору редакціи, **ДОПУСКАЕТСЯ РАЗСРОЧКА** на слѣдующихъ условіяхъ: при подпискѣ вносится — 3 р., къ 1-му марта — 2 р., къ 1-му мая — 3 р. и къ 1-му сентября — 2 р.

Подписка и объявленія принимаются въ Тифлисъ: въ конторѣ газеты, Бярятинская ул. № 8.

Иногородные адресуютъ свои требованія: въ Тифлисъ, въ редакцію „Новаго Обозрѣнія“.

**РОЗНИЧНАЯ ПРОДАЖА** газ. „НОВОЕ ОБОЗРѢНІЕ“ производится: въ Петербургѣ — въ книжномъ магазинѣ **ЛЕДЕРЛЕ**, Невскій просп., № 42 д. армянской церкви; въ Москвѣ — въ книжномъ магазинѣ **КАРБАСНИКОВА**, Моховая улица; въ книжныхъ шкапахъ станцій ростово-владикавказ. жел. дороги: Владикавказъ, Бесланъ, Тихорецкая и Ростовъ.

